



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

K 22137
1

ნაშრომები

საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგები



821.353.1- მკ

პ 201

22134
K



ნესტორ მალაზონია

ჩემი სპიკარი

~~44656~~



სახელმწიფო გამომცემლობა
ქართული - 1961

53717
პ. 201

899.962.1-1
გ 201



მ ა დ ლ ო ბ ა

მე აღტაცებას ვერა, ვერ ვფარავ,
ეს რა სიხარულს ახვავებს გული!
ლექსს აჯილდოებს ჩემი ქვეყანა,
ლექსს აჯილდოებს ჩემი მამული!

ლექსი — ეს მერცხლის ლალი ფრენაა
და ჭიკჭიკია გულში შემტევი,
ლექსი ჩანჩქერის უხვი დენაა
და ყრიამული დაუშრეტელი.

ლექსი სამშობლოს გულის ძგერაა
და სიხარულის კამკამა ცრემლი,
ლექსი სამშობლოს მძლე სიმღერაა
და შიგ
ორიოდ სტრიქონი ჩემი.

მიკვირს,
ვინ ნახა ეს წვეთი ზღვაში,
ვისი თვალია, ყველგან რომ წვდება!

თურმე უჩინარ ფიქრსა და ხმაშიც
შვილს ყველა გუმანს გაუგებს დედა!

გმადლობთ!

სხვა სიტყვა აღარ მეგულვის,
გულისწილ თითქოს ცეცხლია მკერდში,
ჩემო ქვეყანავ,
შენ შემოგველოს
ჩემი წრფელი და პატარა ლექსი!

პოეზიის დღე

დღეს პოეზიის დღეაო მითხრეს
და მართლაც
სხვა დღე გათენდა თითქოს:
ზღვა უნანავეს იისფერ ზვირთებს,
ბაღში მეტია ყვავილიც, სითბოც,
დილის მზე კოცნის
ალუბლის კვირტებს,
პირიმზე იყრის ცვარ-მარგალიტებს,
მაისი ანცობს ზაფხულის კართან
და ზღვა სიხარულს ველარც კი იტევს
ბედნიერების გაშლილი კალთა...
დღეს პოეზიის დღე არის მართლა.

დღეს უსასრულო ლექსის დღე არის,
მზის ღიმილშია ბალი და ზვარიც.
მზის ღიმილშია მთაცა და ბარიც,
მზეს ეცილება ვარსკვლავი ლალის,
დღეს სამაისო ლექსის დღე არის.

და მეც რითმების ჩხრიალი ძესძინ.
რაა ულექსოდ ბალი ან ყანა,
რაა ულექსოდ ხნული და თესლი!
როგორც ცემენტი, როგორც მანქანა,
ისე სჭირდება ქვეყანას ლექსი!

ჩვენი ცხოვრება სიმღერას ითხოვს.
მოიტათ ლექსი — გრძნობა და თუთქვა,
მოიტათ ლექსი — შიგ ცეცხლი იყოს
და დღევანდელი ძალუმი სუნთქვა!
ვუთხრათ სიმღერა მომავალს მზიანს,
დე კომუნიზმმა გაშალოს კალთა,
იყოს ძმობა და მშვიდობა ხალხთა,
იყოს ზეიმი და პოეზია...
გულს ემღერება
და როგორ არ ვთქვა:
დღეს პოეზიის დღე არის მართლა!

ო, ნეტავ ლექსიც...

მდინარეა თუ ცოცხალი ქუჩა
ყვავილებს ფცქვნიან,
ყვავილებს ცვრიანს
აფრქვევენ გზაში.

უძრავად ვწევარ და თვითონ მიკვირს:
რამ გამაღურჯა,
რამ დამამუნჯა,
რამ ჩამაყუჩა!

ან პეტპოვენის რად ტირის მარში —
ასე უსიტყვო და ენამჭევერი!
ან ვინ კისკისებს ამ გლოვის ხმაში!
გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.

ჩემი ხნისანი მოდიან დინჯად,
ჯოხზე დაბჯენით:

მათივ ახლოა რიგი და ჯერი...

გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.

აი, გოგონას გაუსწრო ბიჭმა,
ვაულიმა და:

— გზა მოგიჭერი!

გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.

გამოსათხოვრს მუსიკა უკრავს.

ბორცვი წამოდგა და მოიქუფრა.

ცივად იცინის სამარის მიწა...

გოგო და ბიჭი ანცია ბევრი.

მაგრამ სულ მალე ხმაური მიწყდა...

ო, ნეტავ ლექსიც გაბრუნდეს უკან.

როგორც სხვა ყველა გამცილებელი!

ჩ ო ნ ბ უ რ ი

მამათიდან გზა გადარბის ლანჩხუთისკენ,
ტყის სურნელი,
მთის ნიაფი მიაქვს.

გზას ფეხდაფეხ ღელე მისდევს,
და თუთის ხე,
მახსოვს,

იღვა ცელქი ღელის პირას.

იქ ესმოდა

ბულბულის ხმა მუდამ წყნარი,

იქ ყვავილებს

ცვარი ბანდა თვალებს,

ქალ-ვაჟები სიყვარულით გულდამწვარი
შესჩიოდნენ ვარსკვლავებს და მთვარეს...

ეს ხე მოჭრეს

და ჩონგური გამოთალეს.



ქართული
წიგნობა



ბე

ზედ გააბეს სიმი ორი წყვილი
ჩონგურს დაჰყვა
კაცის გულში გამომთბარი
იგივე ხმები საამო და ტკბილი.

ჩემი საზიცარი

ეს გაშლილი ქვეყნის სივრცე
მიწითა და ცითა,
ჩემი მიწის ყველა გოჯი
და ზღვის ყველა ციდა,
ცა მთვარით და ვარსკვლავებით,
სინათლით და მზითა,
მწვანე ტყე და მწვანე სერი
ნაძვითა და ბზითა:

ხევი ღელით და ჩანჩქერით,
შელის ნუკრით და რძითა,
ასარბენი, ჩასარბენი
ბილიკით და გზითა,
რუ და წყარო მოწანწყარე,
მოკამკამე წყლითა,
მთა და ველი მოკირწყლული
სისხლითა და ძვლითა,
ნაშრომი და მონაგარი

დაგვითა და წვითა,
ბაღები და პურის ყანა
ფორთოხლით და ძნითა;

ხალხი მხნე და მკლავმაგარი
მეგობრით და ძმითა,
რუსთაველი ვაჟას ლექსით
და აკაკის ზმითა,
მოხუცები თეთრი წვერით,
შვილითა და რძლითა,
ბაღიშები მოღიშარი,
მოტიკტიკე წლითა,
ასულები საროსავით,
მოგიშრული თმითა —
აი, ჩემი საფიცარი
და სამშობლო წმიდა!

მიწის სურნელი

სოფლის ბოლოზე მარჯვენის ძალას
შეექმნა ჩვენი ეზო და კარი...
ერთ დღეს,
მამა რომ კონავდა ჩალას
და ყვითელ ფოთლებს ებრძოდა ქარი,

ვხედავ:
გამორბის მეზობლის ბავშვი
და დროშასავით მოარხევს გაზეთს,
თოფი გავარდა მახლობელ მთაში
და ძახილს მოჰყვა ჩოჩქოლი გზაზე.

ხალხი შეგროვდა სოფელში მერე
და სიტყვა მისცეს მეფისგან დევნილს:
— მშვიდობა ქოხებს,
მშრომელთა კერებს!
დიდება ხალხს და დიდება ლენინს!..

მამას კრებაზე სიტყვაც არ უთქვამს —
ან სიხარულმა რა სიტყვა იცის!
შინ კი —
ამაყად შეხედა გუთანს
და ღრმად ჩასუნთქა სურნელი მიწის.

ამხანაგი და მეგობარი მყავს

ჩემი ცხოვრების ბილიკს მივყვები,
არ ვიცი
სად და ვისთან გამიყვანს,
მაგრამ ეს ვიცი —
ყველგან მიმღები
ამხანაგი და მეგობარი მყავს.

ჩემია მიწა,
მთა და ბორცვები,
ბაღი,
ვაკეს რომ ფარავს ნარიყალს,
ყველგან ნანატრი და ნაოცნები
ამხანაგი და მეგობარი მყავს.

ამ ქვეყნის ეშხი ვის არ დაატკობს,
და თუ მისი ცა ღრუბელს გადიკრავს,
ვერც მაშინ მნახავთ ეჟულს და მარტოს —
იმდენი ძმა და მეგობარი მყავს.

მე ეს იმედი თან დამყოლია:
თუ ოკეანე გაღმა გამრიყავს,
თვით ბროდვეიზე, ასე მგონია,
ვიღაც უცნობი მეგობარი მყავს.

ნუ ჩათვლით თავის ქებად და კვეხნად —
ერთი ზედმეტი სიტყვაც არ მიყვარს.
წელგამართული დავალ ამ ქვეყნად:
ყველგან ძმა მყავს და
მეგობარი მყავს!

მდინარესთან

მთიდან ჩამორბის ზათქით,
ხმაურით,
აცოცხლებს ტყეებს,
მინდორს და ქალას.
ყანებს ჩაუვლის,
ბაღებს ჩაუვლის.
ფესვებში უდგამს სიცოცხლის ძალას.
მერე ქალაქთან,
სოფლის განაპირ,
დაეჯახება კაშხალს და მიღებს...
და ნათურების მწყობრი ბანაკი
სოფლად სინათლეს შეარბენინებს!
ოი, მდინარეე!
შენი ეს შემშურს...
თავს ბედნიერად ჩავთვლიდი,
თუკი
ქშობელი ქვეყნის დიდ სინათლეში
ჩემიც ინათებს პატარა შუქი.

22134
I-14650
53774

2 ნ. მალაზონია
№ _____
ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირი

კახოვკაში მტერს მე შეევხვდი
ლომგულით და შაშხანიტაც.
მტერს მე ვჩეხდი,
კლდეს მე ვტეხდი,
დნებრს ვლაგმავდი კაშხალითა.

ეს მე ვიყავ კრასნოდონში,
მე ზოიას ვედექ მხარში
და ლენინის წმიდა დროშით
მე დავჭექე ძლევის მარში.

ეს მე ვრაზმავ შრომის გმირებს,
შრომის ფრონტზე ვაწყობ
რაზმებს,

ვრწყავ უდაბნოს
და ყამირებს,
ვაძლევ შნოს და სილამაზეს.

არქტიკაში ვუშვებ ლუზებს,
ყინულებში შემაქვს ეშხი
და მეშვიდე ცის სართულზე
გზები გამყავს ვარსკვლავეთში.
მე პარტიის აღზრდილი ვარ
და ოქტომბრის პირმშო შვილი.
მე ორმოცი წლის გმირი ვარ ---
ლენინური კომკავშირი.

ბათუმიდან თბილისამდე

შუქურ ვარსკვლავს მოსავს ღამე,
ლიბრად მოჩანს თოვლი მთაზე.
როგორც მელის მოსასხამი,
გაფენილა ბინდი ცაზე.

ამ სვლას ფრენას ადარებენ,
ყრის ნაპერწკალს ბოლი ცამდე,
ჩვენ მოვყვებით მატარებელს
ბათუმიდან თბილისამდე.

მოვყვებით და სანამ მთები
ბარს სხივებით ჩამოსავდნენ,
— რით მოდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ?
რით მოდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ? —
მოგრიალე რკინის თვლები
მოგეძახიან ჩამოსვლამდე.

რა გვაქვს?
მზით და სიმღერებით

მთა სავსე და ბარი სავსე,
ლალი შრომის სიხარული
ყოველ ცვრიან გარიყრაჲზე,
სიტყვა ძმური,
საქმე ძმური,
მზის სიცილი ზღვისფერ ცაზე,
ქარხანა და ელსადგური
მოგუგუნე უწყვეტ ცვლაზე.

რა გვაქვს?
ციცქა და ჩხავერი,
ნარინჯები ხვალით სავსე,
ცხრა მთის კალთა და ცხრა ველი
ჩაის მწვანე ხალიჩაზე.
ოქრო, ვერცხლი,
მტრისთვის ცეცხლი,
მარანი და კალო სავსე,
რაც ოდესმე გვინატრია
საახალწლო გალოცვაზე.

ნახატი და წიგნი მოგვაქვს,
ყვავილების ფერით სავსე,

ხელოვანთა სიტყვა მოგვაქვს,
მისი შნო და სილამაზე.

ჩვენ იმ თასით ლექსი მოგვაქვს,
რითაც წინათ ნალველს სვამდნენ,
პირნათელი ქალი მოგვყავს,
წინათ ჩადრით რომ მოსავდნენ.

მოგვაქვს დიდი ალტაცება,
აღმაფრენა მეცხრე ცამდე,
რაც არასდროს არ ყოფილა
საბჭოთა მზის ამოსვლამდე.

ჩვენ სალამი მოგვაქვს წრფელი
და მადლობით გული სავსე,
რომ პარტიის ზრუნვამ მოგვცა
ნათელ დღეთა სიკისკასე,

რომ ოქტომბრის მზეა დიდი
ჩვენს კრიალა ქართულ ცაზე,
რომ აჭარაც მტკიცედ მიდის
კომუნიზმის ფართო გზაზე.

მერცხლების გადაფრენა

მერცხლის გუნდმა გადმოხედა სერებს,
გადმოხედა მოლივლივე ზღვასაც.

შემებრალა:

წესი არ ასვენებს,
თორემ არც ერთს არ უნდოდა წასვლა.

— როგორ დავთმო? —

ოხვრით ამბობს ერთი,
ჩუმი კენესით სხვებმაც ბანი მისცეს.

წამით შედგნენ —

და მკერდები თეთრი
მოუბრუნეს წყაროებს და მიწებს:

— საყვარელო ველებო და მთებო!
თქვენი ტრფობის სიმღერა და წვა ვართ.

თქვენთან —

თქვენზე ვმღერით საოცნებოდ,

და თუ წავალთ,

თქვენზე ფიქრით წავალთ!

მესაზღვრის სიტყვა

მოვხატეთ ცის თალი და კეფა,
მტრედების მივეციო ფერი,
ამ ცაზე ვარსკვლავის საკრეფად
ვერა,
ვერ შემოვა მტერი.

ჩვენ ეს მთა ბატონებს წავართვიო
და მწვანე დავადეთ ფერი.
ვერც მეფის;
ვერც სხვათა სამართლიო
ვერა,
ვერ წაიღებს მტერი.

შავი ზღვა ჩვენია მარადის —
შავით თუ მოლურჯო ფერით.
მხეცური, ველური ნავარდით
ვერა,
ვერ გაცურავს მტერი.

მე ვფიცავ ყველაზე ახლობელს —
ბებრის ცას,
მწვანე შთას,
შავ ზღვას
ოამდენი მგელიც არ დახროვდეს,
ვერა.
ვერ გადმოვა საზღვარს.

ჩვენი არტილერია

ადრე დილაა, დღე თუ საღამო,
ან თუ ღამეა უფრო გვიანი,
თითქოს მოისმის დაუსაბამო
შენი გმირული ხმა და გრიალი.

სადაც უამრავ მტერს გაუძალდა
ბაგრატიონის უძლევი ფლეში,
პოლტავის ველზე, ოდერის წყალთან,
კარპატების თუ ხინგანის მთებში,

ყველგან და ყველგან, სადაც ვიომეთ,
ახლაც ჩანს შენი ცეცხლის ქულები —
ჩვენი დიდების, ჩვენი გმირობის
და გამარჯვების მოციქულები.

ეს ძალა მთელმა ქვეყანამ ჰედა,
იგი ქართველმა ბიჭებმაც შექმნეს.
დაე, ურალის ფოლადთან ერთად
რუსთავის ნორჩი ფოლადიც ჩქეფდეს.

და თუ დაიძრა ბილწი მტრის ხელი,
და თუ თავდასხმის მუქარა ახდა,
ბრძოლა გავმართოთ ისევ ფიცხელი,
მკერდით დავიცვათ მშვიდობა ხალხთა.

ჩემ სოფელში

ჩემ სოფელში მზე ამოდის
განთიადზე უფრო ადრე.
ჩემ სოფელში მზე ანთია
აისიდან დაისამდე.

ჩემ სოფელში სიხარული
სულ იზრდება წლიდან წლამდე,
ნადური და კრიმანჭული
ამ სოფლიდან ადის ცამდე.

ჩემ სოფელში მაღალია
წაბლის ჭერი ყველა ოდის.
ჩაი ოქროს მადანია —
რაც მეტს მოკრეფ, მეტი მოდის.

ჩემ სოფელში მთაც და ბარიც
ედემია თვალნახული.
ჩემ სოფელში ღვინი არის,
ზეიმი და გაზაფხული!

ჩემი ბათუმი

მე წუხელ ღამით არ მიძინია,
სიყვარულს დასდევს თურმე ეს სენი.
სტრიქონებს ვჭედდი რითმის მძივიანს,
ლექსად შევკარ და აჰა ესენი.

წლებს და ჭაღარას არ ვუჯერებდი,
ვერძნობდი სიანცეს და სიყმაწვილეს.
ასი წელი მაქვს ჯერ სიბერემდი,
ჰოდა. მითხარით. რა დამაძინებს!

ნათევ ღამეებს ვითვლი მეგობრად,
დე სიხარულის მქონდეს ეს სენი.
ბედნიერებად ისიც მეყოფა.
შენზე სიმღერა თუკი შევძელი!

* * *

ჩემო კობწია ბათუმო,
შენზე სიმღერა მომინდა,
ქალაქო მარად განთქმულო
ბრძოლით, ლხინით და შრომითა.

სისხლი გიღვრია მრავალი,
ბევრი შავი დღეც გინახავს,
ჩემი სამშობლოს ჯავარი
და ჩემი გულის ბინა ხარ.

ვარსკვლავი დაგყვა მზისთანა,
გზარდა ქართულმა ნანამა,
ლიმილს ჰგავს შენი ზღვისთვალა
ზეცა — ბროლი და კამკამა.

ფრთები გაშალე, ბათუმო,
ფრთები ნარინჯის ფერისა,
ჩემო ქალაქო ქართულო,
ჯავარო ჩემი ერისა!

ზიხაძირი

გადაფურცლეთ მატთანე!
აღბათ ისეც იცით:
მტერი ჭამდა,
ვერ ძღებოდა
ზიხაძირის მიწით.
ამ ქართველი ხალხის სისხლით,
ამ ქართული მიწით...
ჩვენ კი
მარტო ლხინი არა,
ხმლის მოქნევაც ვიცით!

ღა ვიბრძოდით ქუდზე კაცი
სამასი წლის წინათ.
იყო ჟღეტა,
იყო მუსვრა,
იყო სისხლის წვიმა.
აქ ვინ იცის, რა დიდება,
რა სახელი ბრწყინავს.

ეს მთა გმირთა საფლავია
აზიდული ზვინად...
ჩუმად.
ფრთხილად.
აქ ნაომარ
ქართველ ბიჭებს სძინავთ!

ს ა თ ე ვ ზ ი ა უ ი

როგორც ჩვენი ხევსურები,
როგორც ხირხათელები,
ცის ლაყვარდში ხელს ურევენ
წიფლები და თელები.
მწვანე ხევის გულში შარა
გზას მიიკვლევს ფარულად
და მანქანებს უშიშარად
გაუმართავთ მარულა.
მხიბლავს ეს მთა და მთისძირი,
ტყე, ხევი და მადანი.
მაგრამ უფრო მზის სიცილი —
ყველა მადნის ბადალი.
და ამ შვებით,
და ამ ღელვით
გული ისე ამევსო,
ას წელს კმარა სასიმღეროდ
საღალოდ და საღეჭოდ!

ბ ა რ ა თ ა უ ლ ი

მთვარე ლაყვარდში ისე გაგორდა,
თითქოს პერანგამ გაჰკრა თავური.
მთებს შეესია ათასი ოდა —
ჩვენი სოფელი ბარათაული.

კლუბში დაიძრა მწყობრი სიმღერა,
ხევიდან მთისკენ აიაღმართა,
ქალიშვილების ცქრიალა მზერამ
მთელი მიდამო გადაანათა.

ოი, ამ სოფლის შვებავ და ლხინო,
ყანავ, ბალო და ჩხავერის ღვინოვ,
მწვანე სერების ფუნჩულა ნისლო,
ღიმილით სავსე დიასახლისო,

კაკლის და ნაძვის ტოტო და ჩრდილო,
ტარიელაძის ცამეტო შვილო,
მთებში მოსულო მზიანო დარო,
გაცოცხლებულო ვაზო და ზვარო,

ქაღალა და ვაჟო ტკბილმოუბარო,
ხალხო სვიანო და წელმაგარო,
თოფჩიშვილებიშ კამკამა წყაროვ...

ოი, სოფელო დაუვიწყარო!

შუახვევლი გოგონა

ნელი სიო ხევ-ხევ მოქრის,
მზე კი მთა-მთა მოგორავს.
ყვავილნარში მოდის კოკით,
წყალი მოაქვს გოგონას.

ხევში ვაჟი ჩამოფრინდა,
სიტყვა აქვს თუ აღმასი:
— შენი კოკის წყალი მინდა,
ან მომკალი, ან მასვი!

— შენ რომ მართლა მოგკლა,
ბიჭო,

ჩემ გულს რაღა მოარჩენს!
მეც მიყვარხარ, ჩემო ბიჭო,
ვერ ვუბედავ მამაჩემს!

სალამო აჭყვაში

აღმართები აჭყვის გზებზე
მთას მისდევენ ოცნებით.
სიხარულით გულს ავსებენ
მარადმწვანე ბორცვები.

ირგვლივ — მდელი დახატული,
ოდები და ნათური,
მეგობრული და ხმატკბილი
ბერძნული და ქართული.

უკვე მთვარე აციმციმდა
ცის მოლურჯო ციალში,
თითქოს პოლი მერიციდი
დადის პლანტაციაში.

დადის, კოცნის ჩაის კვირტებს,
მერე კალათს გაივსებს,
რომ გაუსწროს ვანო კურტოვს
და ცეცხლაძე აიშეს...

ერთად იყო დღეს სიფეღლო
ბაღებსა და ყანაში,
ახლა გოგოს მეზობელი
თავს აწონებს თამაშით,

ლხინია და ტაშ-ფანდური
ამღერებულ სერებზე,
ქალის ეშხით დაშანთული
ვაფი დგება ცერებზე.

ცისკარი ცისკარზე

სდუმს დანისლული ფრიალო,
შველთახევი და ორკარი.
მხოლოდ ჩანჩქერი ხმიანობს
ლალი და შეუბორკავი.

მთის ღელეები ღელავენ,
ჩუმი ჩივილით ჩარბიან,
იმათ არ უყვართ სიბნელე,
ანკი რალა დროს ჩადრია!

კოცნის ზღვაური ნარინჯებს,
ისმის ტალღების ფათური...
და იქვე,

ორ-სამ ნაბიჯზე
ზღვის ნანას ისმენს ბათუმი.

მაგრამ ჯერ გაუსურსნელი
მოღის ცისკარზე ცისკარი.



ხუკრს ელის წყარო უსმელი,
ცვარს — მოცვი მოუცუცქავი.

ცის კიდე ოდნავ შემთბარა,
ბინდი თვალდათვალ თხელდება.
შველი სიხარულს ვერ ფარავს:
— ცვრიანი დილა თენდება!

და შეიშმუშნა წიფელი,
ქვეშ მიწა იგრძნო, ზემოთ — ცა.
ცისკარი ლოყაწითელი
მზემ ცის ღიმილით შემოსა!

აკაკის ძეგლი ქობულეთში

მზე ყოველდღე ჩაქვისთავში
გაშლის ცეცხლის დაღალებს,
ჩანჩქერების ფრთიან ჭავლში
ჩაყრის ოქროს და ლალებს.
გაიხსნება შუბლი მთისა
ფართოდ, განა ვიწროდა,
სწორედ ისე, ლექსის თქმისას
აკაკიმ რომ იცოდა.
გაიღიმებს გარიჟრაჟი
დღის სინათლის მომფენი,
ამწვანებულ მთა და ბარში
ამღერდება სოფელი.
თვით აკაკიც თვალს გაახელს
ქვაში გამოკვეთილი,
გაუღიმებს ოდა-სახლებს,
როგორც მამა კეთილი,

და თავისთვის იტყვის გულში:
— საყვარელო შხარეო,
ჩვენს ერთიან ტკბილ მამულში
დატკბი და იხარეო!

თბილისის დილა

ხომლი თითქოს კანკელია თბილისზე,
ძილს მოუცავს საბუდარი არწივთა.
მაგრამ ლურჯი ცა დაისრა დილის მზემ
და ხანძარში აიღეწა მთაწმინდა.

სიომ ჭადარს
ჩასჩურჩულა აღფრსით,
მტკვარზე
ნაპირს შეათამაშეს ზვირთებმა.
ცა იცინის,
ჭალაქს უცქერს თვალებში,
უხარია ყვავილებით ირთვება.

რა დილაა,
რა ნიავის ფრენაა,
ცვარს თბილისი ასე როდის უმოსავს.
ყოველი დღე მზის ახალი ფენაა
და ქვეყანას ახალ შვებას ულოცავს.

ჭალარაა,
მაგრამ გულთ ჩაუქობს,
პირს ღიმილი არ შორდება სალადო...
მზეს და დილას მოვილოცავ ჩაუქრობს,
ჩემო დედავ, ჩემო თბილის-ქალაქო.

მთაწმინდაზე

დღეს აქა ვარ,
ჩემ თბილისში,
ანკი როდის არა ვარ!
მოვალ,
ვდგები მთის პირისპირ,
მაგრამ ზევით არ ავალ.

მუხლს მოვიყრი დაბლა კრძალვით,
თავს დახრიან ბორცვებიც,
და შევხედავ მამადავითს,
როგორც ძველი მლოცველი.

ო, იქ სძინავთ,
ვარდიანში,
აკაკის და ილიას,
იქ ფშაველას და კლდიაშვილს
ვალმოხდილი ძილი აქვთ,

იქ ნიავეი დაქრის მარტო
ჩუმი,
პეპლის ფრთებითა,
იქ მერანით დაქრის ტატო,
იქ ვერ ახვალ ქვეითად!

ჩემი სოფელი მამათი

გზაში

მანქანამ გადაიჭროლა
ლაშისდელე და შუხუთი,
სოფლები მირბი-მორბიან
კრიმანჭულით და უბუთი.

ნისლის ფთილები მოსდევენ
დიდმოხვეულს და სასირეს,
ჩამოიმუხლეს შარაზე
და მთებზე გადმომაცილეს.

ხევ-ხევ და მწვანე სერებზე
ბაღში დაცურდა აცანა.
ბორცვმა ბორცვები შეცვალა,
მოხედვაც აღარ მაცალა.

სოფელი ხელში ჩამადნა
კლდის და ჩანჩქერის კამათში,
და ისარივით

შარაგზა

ჯიქურ შეიჭრა მამათში.

მამათი! ჩემი სოფელი,
წინათ ცნობილი ციებით,
დღეს ელექტრონით, ფაბრიკით
და ჩაის პლანტაციებით!

აქ ქოხი იდგა. ახლა კი
სკოლა დგას ქვის და მაღალი.
აქ ფაცხა იდგა. ახლა კი
ოდა დგას ქვის და ახალი.

აქ გვიძრა იყო. ახლა კი
ირგვლივ ნარინჯი შრიალებს.
აქ ხრამი იყო. ახლა კი
მანქანა მიმასრიალებს...

და ბოლოს,
გზა უტეო,
კრუხმა ჭუკს ჩაუნისკარტა,
და ფეხშიშველი ბავშვობა
მოღზე შემომხვდა ჭიშკართან.

მე და მერცხალი

გაფრინდი, შავო მერცხალო...
ხალხური

სდუმს ჩემი სახლი, თითქოს შემწყრალი,
კიბესთან წყდება ბილიკი მრუდე.
დღეს აქ მოვედიო მე და მერცხალი,
მოვიწახუდეთ მშობლების ბუდე.

მერცხალოს,
მოფრენილს შორი ქვეყნიდან.
არ შეხვედრიან გულფრთაგაშლილი,
და არც ჩემს მშობელს დაუკვებნია,
თომ ქალაქიდან ესტუმრა შვილი.

უკვე თჯახებს არ ჰყავთ მოთავე:
მე აქ დავკარგე,
მან ცხრა მთას იქით.
და მე ვივრძენი, რომ ჩვენ ორთავემ
ვოთი ტკივილით დავძარით ფიქრი...

მერე ნალველი შვებამ შეცვალა,
მზით და ღიძილით გაივსო ეზო.
მიწა დავკოცნეთ მე და მერცხალმა
ჩვენი ბავშვობის საასპარეზო.

სად გობგანობ?

ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე,
ვის უბეში გძინავს ღამე?
ხალხური

იმ კორტოხზე სხვა სახლია,
სხვა ჭიშკარი, ბალი, ბაღია,
მაგრამ სახლთან რომ ცაცხვია,
როგორც იყო, ისე დარჩა:

ქვეშ ნოხივით კოინდარი,
ჩრდილი, სიო, წაბლის ძელი...
მხოლოდ ერთი არსად არი —
არ ჩანს გოგო მასპინძელი.

სად გოგმანობ, ჩემო გოგოვ?
ხომ არ დასდევ ისევ პეპლებს?
ბე მოვხუცდი...
მერე როგორ
გავჭაღარდი, დავიფერფლე!

მაგრამ მახსოვს თვალთა სხივი,
ჯოლოსფერი კაბა, ჟღალი,
და კვლავ გულში ცეცხლი ღვივის,
როგორც ფერფლში ნაკვერჩხალი.

დილით

სოფლის ფერდობზე შარაგზა
ჩარბის და ჩაეჩანება.
ხევმა ჩაკეტა, ჩარაზა —
ო, საით მიგეჩქარება!
და მერე დილას სიმღერა
უთხრეს ჟუჟუნა ქალებმა.

ჩაის ქოჩორა ბუჩქები
ჩანან ჩონგურის ლარებად,

შეხედავ — გაიფურჩქნები,
მოკრეფ და — დაგენანება.

კრეფაც სიმღერით იციან
ხელმადლიანმა ქალებმა!

ძიმითვის ხიდი

გაღმა-გამოღმა სოფელი,
წყალი შუაში მყოფელი.
გაღმა ცხოვრობდა ხოფელი?
რა იყო გასაყოფელი!

ასე ყოფილა ოდითვე —
განა ერთი ან ორი თვე!
ამბობდნენ: თუ არ მოითმენ,
ციმბირს იხილავ შორითვე!

და იყვნენ გაღმა-გამოღმა,
პქონდათ ნალველი და ბოღმა.
არსით ისმოდა ამო ხმა,
თითქოს ხსნის ფესვიც ამოხმა...

მაგრამ მზის ძალა დიდია,
მზე აქრობს ღამეს ბინდიანს!
ახლა იმ წყალზე ხიდია,
ზედ ძმურად მოდი-მიდიან!

რა ლექსებში დავატივით

მთაწმინდაზე თითქოს ჰქუხან
გმირთა ცხელი გულები,
საქართველო — ეს ბერმუხა —
ლექსი გახდა ულავი.
რაც ილიამ, აკაკიმ თქვა,
რაც თქვა ბარათაშვილმა,
ყველა პწკარი,
ყველა რითმა
ია-ვარდად გაშლილა.
რეკს სიმღერა უსასრულო,
ჩანჩქერივით ხმიანობს,
დატკბი, გულო,
დატკბი, სულო,
დატკბი ადამიანო!
ილზენს მთა და მღერის ბარი
უკვდავების ბადაგში,
მზე არის და ოქრო არის
დღეს აჭარის ლაყვარდში.

ჰოდა. ჩვენო გალაკტიონ,
გვითხარ, დაგვდე ამაგი:
რა ლექსებში დავატიოთ
ეს მზიანი ალაგი —
ნაავდრევი,
ნაჩადრევი,
ნაგვემი და ნაცემი,
ე! ქალები — ვარდქალები,
ეს კაცური კაცები!

ბალატიონის ბარდაცვალებაზე

თითქოს ეპოქას შეეკრა სუნთქვა,
ეს რა სიკვდილი შემოგვესია!
ვაგლახ, დაიჭრა ქართული სიტყვა,
ქართული წიგნი და პოეზია!

ჟრთა შეეკვეცა მოსხლეტილ მერანს,
ლურჯა ცხენების გაწყდა სადავე.
სადღაა რიტმის ზღაპრული ეღერა.
სიტყვის მოქნევა და სისადავე!

სადღაა ლექსის ჯანი და მუხლი,
ჯერედ მიუვალ მთებში თქარუნა.
ლექსი ზღვა-ლექსი, ულევო, უხვო.
ღელვა, ღუღუნო და სიხარული!

ბალხი ტირის და მყინვარი კვნესის.
მზესაც კი წამით წაერთვა ეშხი.

ეს ცხელი გული,
ეს წრფელი ლექსი
როგორ ჩუქმვით ცივ სამართეში!

ბიორები ლეონიძეს

ეს რა ვულკანი გუგუნებს,
ლავაა თუ ნალვერდალი,
თუ ცხენებს მოათქარუნებს
ასიათასი მხედარი!

არა! ეს ლექსის დელგმაა,
ხერგად მომსკდარი პწკარები —
ვერ დატეულა პოეტში,
მოხეთქა გულის კარები.

ეს შენ ხარ, ლეონიძეო,
ეს შენი ხმაა ულვევი,
შენი ბაღნარი სამშობლოს,
მისი მზის ნაერთგულვევი.

ეს შენ ხარ, ლეონიძეო,
ჯადო სიტყვით და თაკარით,
ლექსის თქმის საგუშაგოზე
კალმის მახვილით დამდგარი,

ქართველი ერის სვე-ბედით
მოხიბლული და დამტკბარი.

შენ მარცვალ-მარცვალ დაეძებ
ქართლის გაფანტულ დიდებას,
ათას წლებში რომ გაუძლო
ქანგის და ცეცხლის კიდებას.

ეძებ და მზეში გამოგაქვს,
აწყობ და აწყობ ძეგლებად,
რადგან წარსული თუ არ გაქვს,
არც მომავალი გექნება.

ეს მხარეც — ჩვენი აჭარა
ჩვენი დიდების ძეგლია,
ის ვაჟკაცურად გადარჩა
სამას წამებას ეკლიანს.
მხოლოდ მესხეთს თუ შეეძლო
იმ ბნელში გზა გაეკვლია!
დღეს ყველა დილა ლხინის და
სიცილის ანარეკლია...
აქ შენს მადლიან სიმღერას
ზარივით დაურეკია!

ანკი, სად არ ქუხს სიმღერა —
ლექსი საქვეყნოდ ქებული!
მოხიბლა ვოლგაც, სახარაც,
მთები თხემაქაფებული.

აქ კი, ღიზის მთის გადაღმა,
ქარს რომ დაჰქონდა ნაცარი,
დღეს სამგორის ზღვის მხარდამხარ
შენი ლექსების ზღვაც არი.
და ქრიან შენი პწკარები,
კალმახურ გააქვთ ტკაცანი,
მჩატეა, როგორც ქარები,
მაგრამ ზღვასავით ღრმა არი,
შიგ ჩვენი ქვეყნის ვაშაა,
დოლის და ტაშისკვრაც არი,
მთებში აჭრილი ხანძარით
ლოყაწითელი ცაც არი,
იაზე ცვარის კურცხალით
დღისა და ღამის ცვლაც არი,
მარად უტეხი, უმცხრალი
შენი გული და ხმაც არი...
იმღერე, კვლავაც იმღერე

ამ მიწისა და ამ ცისა,
სახალხო უთხარ სამშობლოს —
სიმღერა შენი ხალხისა,
ვინც გოლიათი გშობა და
დიდპოეტობაც გაღირსა!

„მზეს არ ახსოვს“...

ალექსანდრე აბაშელის გარდაცვალებაზე

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.
თქვი და ცაში აღიმართე
მზის სხივების დასაჭერად.

ხალხის გულში ხმა იპოვნე.
ლერწმის ღერში — მისი ყღერა...
და ეს ლექსის შადრევანი
რა სიკვდილმა შეაჩერა!

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.
შენ ღრუბლიან ღამეს ტეხდი
ამ სტრიქონის დასაწერად.

შენმა სიტყვამ ჩვენი გული
სასიცოცხლოდ აამღერა...

რა სიკვდილმა შეაჩერა
ლექსით სავსე გულის ძვერა!

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.
არც ლექსსა აქვს დასაბამი,
არც შეწყდება მისი დენა.

რის სიკვდილი? მე არ მჯერა,
თუნდაც მითხრან ათასჯერა.
ეს სიკვდილმა მოიგონა
პოეზიის დასასჯელად!

თამარ აბაკელიას პორტრეტზე

რად დატოვე ობლად ფუნჯი,
უჭკნობი და უსიკვდილო?
ვინღა ხატოს ეს ცა ლურჯი,
მზის ნათელით სავსე ტილო?

ვინ ჩაუდგას თიხას სული,
ვინ აცოცხლოს თაბაშირი?
ვინ აღელვოს მთის ასული
ანდა გოჩა თმაგაშლილი?

ო, რამდენი ტილო ტირის
შენი ხელით მოქარგული!
ო, რამდენი თვალი ტირის
და რამდენი წრფელი გული!

შენს თბილისში, ქუთაისში,
შენს ბათუმში თუ რუსთავში
შენი გულის ცემა ისმის
ყველა ქართულ ჩუქურთმაში!

ბამხელილი ფიქრები

გოგონა

გოგონა მწერდა --
აღარ მომწონს შენი ლექსიო,
ბევრი სხვა ვნახე
უფრო კარგი, უკეთესიო...
ჩემო გოგონა,
ჩემი ლექსი შვილივით მიყვარს,
მას მხოლოდ ქვეყნის სიყვარული
დავუდე წყაროდ,
საქართველოში ისე კარგი
დაწერილიყოს,
რომ ყველა ჩემი
სანაგვეზე გადაეყაროს!

უმნ და მთვარე

თვალი მომტაცა შუქნათელმა
პირსავსე მთვარემ,
თვალწინ დამიდგა

საოცარი შენი მშვენება:
შენც მთვარესავით იღიმები,
შუქს მოატარებ,
მერე შენც გელის დასასრული
და განსვენება.
მაგრამ თუ მთვარე
ჩაქრება და გაქრება ცაში,
კვლავ აინთება,
კვლავ იელვებს მისი მშვენება.
შენ კი...
ო, მინდა,
როგორ მინდა
შენც მთვარესავით
გქონდეს დროებით დასასრული
და განსვენება!

მ ა მ ა

მამამ იცოდა თქმა უსასრულო —
ფოთოლს რომ წყვეტენ ვული მწყდებოვ.
მაგრამ ხალისით მოგლეჯდა სუროს —
სხვისი ნაშრომით უყვარს კვებოვ.

ღ ე ღ ა

ქვეყნად ბევრია ავი და შავი,
დამნაშავეთა ბევრია წყება,
მაგრამ სადა აქვს გული და თავი,
როცა შვილს ტოვებს მშობელი დედა!

ა ა მ უ ლ ი

თუ შენი სისხლი მამულს მონამავს
თუკი ეს არგებს ქვეყნის მომავალს,
რა საჭიროა ცრემლი და გლოვა,
მაშინ სიკვდილიც სასიამოა!

ს ი ტ ყ ვ ა

სიტყვა უძღვებს საუკუნეს,
როცა საქმე ამშვენებს,
თორემ ვინც კი აკაკუნებს,
ყველა როდი აშენებს!

ზ ლ ვ ა

ის რა ზღვაა, თუ არ ზღვაობს —
 თუ არ გორავს ტალღა მასზე!
 არც ცხოვრებას უმოძრაოს
 აქვს აზრი და სილამაზე.

ტვინი და გული

ამბობენ:

მოკვდა ლირიკა,

ყავლი გავიდა ლექსისო,

რადგან ცას იპყრობს ფიზიკა.

ის ლირიკასაც შეცვლისო.

ტვინს გული არ შეუცვლია. —

არ არის და არც იქნება.

რის თქმაც ტვინს არ შეუძლია.

გულით უნდა თქვან რითმებმა.

ღ რ ე

წამი რა არის,
წელი რა არის,
როცა სიცოცხლით სავსეა თასი!
მაგრამ ლოდინი გრძელი არ არის,
არც გამოცანა ძნელი არ არის —
ღროს სიკვდილის წინ ეძლევა ფასი,
სიკვდილმა იცის სიცოცხლის ფასი!

უჩინონი

მე წავიკითხე ისტორიის ბევრი ფურცელი —
მაკედონელიც,
ბონაპარტეც,
პეტრეც,
თამარიც...
და ყველგან ასე, ამ რჩეულთა სია უცვლელი.
მაგრამ უჩინო შემოქმედი არსად არ არის,
ვისი სახელიც ისტორიას არ შეუნახავს,
ვინაც სამშობლოს სიყვარულში კრაქივით
ჩაქრა.

ვინაც ქვეყანას
გვირგვინებით არ დაუმარხავს,
რადგან წარსულმა ავბედითმა
ქანგივით დახრა
და ვერ მოესწრო
ჩვენი ქვეყნის ნათელ ალიონს, —
დღეს მე იმათი
სადღეგრძელო მინდა დავლიო!

ახალციხეში ჩანაწერი

ახალციხეში ბაღს ყიდდა
ერთი პატარა ქალი.
ტუჩები — როგორც მარწყვი და
ლოყები — როგორც ბალი.
თვალეები — წყვილი წყავი და
წარბები — ორი მშვილდი.
თმები — ჭერ დაუწნავი და
სახე — გნოლივით მშვიდი...
არ მახსოვს როგორ წავიდა —
თვალში ჩამიდგა ბინდი.

გზა შენამდე

გზა შენამდე თურმე
მოკლეა და სწორი.
მაგრამ ბინდი მრუმე
ახშობს ცაზე მწოლი.
ო, გახიე ეს ცა
და გაფანტე ბინდი,
მთვარეც ხარ და მზეცა —
გზის მნათობად მინდი.
წლები განა მდორედ
ან უძრავად დგანან?
ჩქარა, ჩქარა, თორემ
დრო არ იცდის. არა!

მე და შენ

წამო, წავიდეთ მთაში,
ცაცხვი გვეყოფა ჩეროდ.
ჩანჩქერს ვუსმინოთ ტაში,
ვისხდეთ, ლექსები ვწეროთ.
ეჭვობ. გეთაყვა? რატომ?

მე დამხმარე ვარ, შემწე:
მე ვწერ ასოებს მარტო,
ლექსებს —
შენ ქმნი და შენ წერ!

ავტობუსი

ავტობუსი!

დამილოცავს ის მარჯვენა,

სწრაფმავალი მანქანა რომ გააკეთა.

სიბერემ ხომ იგი მხსნელად მომაჩვენა,

შემაყვარა ქშენით ქუჩის გადაკვეთა.

მაგრამ

ერთხელ, არ დამცხრალა გული ჯერაც,

ჩვეულებრივ მივადექი ავტოს კარებს.

შძლოლმა იგი თითქოს მეტხანს შეაჩერა

და მგზავრებმაც მკლავში ხელი წამატანეს.

— ეჰ, სიბერე...

აჩურჩულდა ერთი მგზავრი,

ვინ გზას მაძლევს,

საჯდომს მითმობს,

ვის ხელბარგი მოაქვს ჩემთან.

ერთმა უფრო გამიღრმავა გულის ბზარი —

საწყალიო...
და ბილეთი მომჩინა.

ელდა მეცა!
და დავწყევლე ავტობუსი,
ნუთუ ასე დავჩიავდი,
დავძაბუნდი!
ნუთუ წლებმა დამჩაგრეს და გამაწბილეს?
მე ჭაღარას გიმრის თმაშიც არ გავუცვლი
იმ შემწყალე ქალიშვილებს და ყმაწვილებს—
იმ ბატონებს.
მოსაკითხს და მოწყალეებას ვინც ატოლებს!

ეს ჭაღარა — ჩემი წლების თაივული —
მე ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრში ვკრიფე.
მე მას ისე მაღლა ვიჭერ.
ისე ვუვლი,
რომ ვერ მისწვდეს სიბრაღული მოჩიფჩიფე.

მაღლა ვიჭერ,
სიამაყის გრძნობით ვვარცხნი



ქართული
საქართველოს
საქართველოს



ქს

და შევხარი, როგორც გმირი თავის ბრძოლას:
ის ჯამია ჩემი შრომის,
ჩემი ღვაწლის...
მე მის აუგს ვერ ავიტან ვერასოდეს!

„შვილი“ შვილის აკვანთან

ვუზივარ, ვუმღერ და აკვანს ვურწევ,
თან მელიმება სიამის ნიშნად:
ჩემი მომავლის ახალი ფუძე,
ჩემი ახალი სიცოცხლე იშვა.

ჯერ პატარაა, ალუ არ უთქვამს
და თვალის კარგად გახვლაც უჭირს.
სძინავს და სძინავს.
მალმალ სუნთქავს,
დედას და ძუძუს დაეძებს ტუჩით.

ჯერ პატარაა.
სამიოდ წლამდე
ვერ მიატოვებს აკვანს და საგებს.
ჯერ კაბინეტში დოლით და ცხენით
ვერ შემოიყვანს ტოლ-ამხანაგებს,
ვერც მაგიდაზე დამიწყობს ბაჩუჩს,
ვერც სკამზე წიგნებს გადმოალაგებს...

ვუზივარ. ვუმღერ და აკვანს ვურწევ,
შიგ წევს მომავლის ბურჯი და ფუძე.

ჩემო ბიჭუნავ!
ცხოვრების გზაზე
ბევრი ნარია, ბევრი ცთუნება,
რაროვ ეცადო. ყველას ვერ დასძლევ, —
ასეთი არის კაცის ბუნება.
მაგრამ იყავი გამრჯე და სათნო,
ხალხის ერთგული და საიმედო,
ასიც გიჭირდეს,
ათასიც დათმო —
დედა სამშობლო არ გაიმეტო.

მ თ ე ბ ი

მთას გადივლი და კიდევ მთა არი,
ასე მთებია დაუსრულებლივ.
ნეტავ რომელი მთაა მთავარი? —
ეჭვებს და ფიქრებს ეჩურჩულები.

ასე ყოფილა ცხოვრების გზაზე —
ყველგან უღევი კლდე და მთა არი.
დასძლევ, დასძლევ და...
რასაც ვერ დასძლევ,
სწორედ ისაა თურმე მთავარი!

ბ ზ ე ბ ი

აღმართს მიჰყევ ზევით, ზევით.
ოფლიც გდინდეს თანა.
რა გქნათ, წუთისოფლის გზები
მთის ბილიკებს გვანან.
გზა უბარდო,
გზა უვარდო
გზად ითვლება განა!

ვაკეს მჩატედ კი ივლიან
და არც ვინმეს უჭირს,
მაგრამ რაღაც ტკივილია
და მოწყენა ვულში:
გზა უბარდო,
გზა უვარდო
სრულ სიხარულს უშლის.

დაღმართ გზაზე უფრო ადვილს
ვერც შეხვდები ვერსად,

მაგრამ ჩადის კაობამდე
და განანებს ბევრსაც.
გზა უბარდო.
გზა უვარდო ---
მოშურნეს და მტერსა!

აღმართს მიჰყევ და შთის ნისლებს,
იყოს ოფლიც, ბინდიც,
საოცნებო მწვერვალისკენ
მხოლოდ ეს გზა მიდის ---
გზა ბარდებით,
გზა ვარდებით,
მდეღვარე და მშვიდიც!

ბავშვი და ლექსი

როგორა ვთქვა, მეც არ ვიცი:
სადღაც — გულში, ძარღვში, —
გაიღვებს...
ასე იძვრის
ხუთთვიანი ბავშვი.

იღვებს და არ ღუმდება,
შოაქვს ეჭვი, შიში:
... როდის? როგორ?..
ასე დედა
წუხს უძილო ძილში.

წუხს და თანაც ეღიმება —
სიცოცხლის ხმა ესმის!
ასე ჩნდება და ღვივდება
მოჩუხჩუხე ლექსიც!

მიწა და მარსი

ვარსკვლავებს ვუცქერ.

ანთო მარსი.

ოითქოს ახლოა, მაგრამ შორს არი.

ნეტავ სქელი აქვს ჰაერის გარსი.

თუ ტიტველია, შეუმოსავი?

აი, ვიღაც დგას და ხელებს მიწვდის —

ნამდვილი კაცი თუ ნათესავი.

ალბათ მასაც წვავს ფიქრები მიწის

და გადმოფრენას ლამობს ჩემსავით...

პ ა ე მ ა ნ ი

მზე რომ დაღევს სულს დაქანცულს
მწუხრის ლოცვის თქმაზე,
როცა ნისლი თხემს მოსწყდება
შორს, ჭალარა მთაზე,

მაშინ ნისლი იფარიე,
იფარიე ღამე
და წამოდი ჩემთან,
ჩუმად
მინდა გითხრა რამე.

მინდა ღამით ჩუმ სივრცეში
ვიყო შენთან ახლო,
შენ გიცქირო,
შენ გისმინო
და ხელი არ გახლო.

მინდა ვნახოთ, ტყის ყვავილებს
ცვარი როგორ მოსავს,

მოვესმინოთ ტყის იაღონს —
მოტრფიალე მგოსანს.

მოვესმინოთ ფერიების
როკვასა და ლოცვას,
ერთად შევხვდეთ ვარდისფერი
ვანთიადის მოსვლას.

როს ცისკიდურს დილის სხივი
გამოაცლის ურდულს,
წყვილი კოცნით დავამთავრებთ
ჩვენს პაემანს ქურდულს.

შენ გაქრები, როგორც შველი,
შენ გაქრები...

და მე
დარდი მომკლავს:
როდის მოხვალთ
კიდევ შენ და ღამე!

შენი ბაღია

ბაღის პირას დაგინახე,
იდექ შველის ტანითა,
მომანათე მთვარის სახე,
დამჰქერ ტრფობის დანითა.

დასრიალებ, შარიშურობ
და შუქს აფენ ლაღადა,
ნეტავ, ეს რა დედამ გშობა,
რა მხატვარმა დაგხატა!

შენს ბაღიაში შემომიშვი,
დაწვი გული უძირო.
შენ ბაღიაში ნუ მომიშლი —
ყვავილს მინდა ვუცქირო.

როგორც ბაღიას შვენის ვარდი,
ცას — ღიმილი მზიანი,
ისე ქალსაც შვენის დარდი,
სიყვარულის ზიარი.

რათა ბაღია უყვავილო,
რათა ქალი უგულო,
რათა გული უგრძნობელი,
გული უსიყვარულო!

შ ე ხ ვ ე ღ რ ე ბ ი

პირველი

მახსოვს, იყო ენძელობა.
ჯერ მზე ჩანდა მორცხვად.
მას ველოდი. მეც შელოდა...
მეტი ვეღარ შევძელო და
იის კონა მომცა.
და დაეშორდიო. ნატვრად დარჩა
საოცნებო კოცნა.

მორა

ბარტყი ჰყავდა უკვე მერცხალს.
მზეს უდუღდა სისხლი.
— მე შვილი მყავს.
— შვილი მეც მყავს.
და ორივეს შეგვრცხვა, შეგვრცხვა ---
არც კი ვიცი რისი.

ცვლავ დაეშორდი. მისამართიც
აღარ დამრჩა მისი.

მისამო

მერე წყაროს გაჰყვა დარი,
ცივი ქარი ჰქროდა.
მზეც ასაკში გადამდგარი...
— როგორ ჩაქრა ის ლადარი!
— ო, რა ცეცხლი გვქონდა!
ეჰ. სად არის ენძელობა
და იეზი ქორთა!

მხოლოდ შენი სიახლოვე

ფრინავ, როგორც მეთოლია,
იმ მთაში და ამ მთაში.
თვალი იის ფოთოლია,
ვარდებია კალთაში.

სანამ ვიყოთ ასე უბრად,
ეს რა გული გქონია!
მარტო თვალით ვისაუბროთ —
საკმარისი გგონია!

შენზე ფიქრმა დღე და ღამე
ჩემი გული დაფლითა.
სანუგეშო მითხარ რამე
შენი ენის თაფლითა.

შენი დარდით დავილევი.
შენი კალთის ყვავილები

იყოს ჩემი სუდარა!
ოღონდ იცი, მე რა ვთხოვე?
მხოლოდ შენი სიახლოვე, —
სხვა გულს არა უნდა რა!

ბარემ თქვი...

მე სარკმლიდან ბაღს გავცქერი —
ეს გულს უნდა,
ეს თვალს უნდა.
თეთრი ფერი, თოვლის ფერი
ოდნავადაც არ გახუნდა.

ტყემალი გავს ბამბის კარავს
და პეპლებიც ფრენენ გუნდად.
ყვავილი თუ თოვლი ფარავს?
დაზამთრდა თუ გაზაფხულდა?

შენც მიდიმი, როგორც ვარდი,
მაგრამ რატომ —
თქმა ხომ უნდა?
ბარემ თქვი, რომ შეგიყვარდი,
ბარემ თქვი, რომ გაზაფხულდა!

არ არის გვიან

ნუ გაიკვირვებ, ჩემო ლამაზო,
თუ ვერ დავაცხრე მღელვარე გული,
თუ ჩემ ხანდაზმულ გრძნობას გთავაზობ
ასე უდროოდ შეყვარებული.

ნუ გაიკვირვებ,
დღემდე რომ ვერ ვთქვი...
ჩემ თავს რამდენჯერ მივეცი ფიცი —
არ ვიტყვი, გულში ჩავიკლავ-მეთქი,
მავრამ გავბედე.
და რატომ, იცი?

წელს გაზაფხული მოვიდა გვიან,
სუსხი ბოლომდე გამოჰყვა მაისს,
იცადა,
სითბოს უცადა იამ
და გამოიღო ყვავილი მაინც.

მე გაზაფხულზე არ მქონდა დარი
და არც ზაფხული მქონია თითქოს.
სდუმდა გული და არ იყო მკვდარი,
იმ იასავით ელოდა სითბოს.

ჰოდა, დღეს ბოლო მოეღო ლოდინს,
და მეც ავმღერდი, როგორც ის ია...
თუ სიყვარული გულიდან მოდის,
ის არასოდეს არ არის გვიან!

ორი ასაკი

მწიფე პურის ყანაში
შემხვდა ერთი გოგონა.
თავზე თეთრი მარმაშით,
თვალწამწამის თამაშით
ეს ლექსი ჩამავონა.

მეგრამ რა ვთქვა, როგორ ვთქვა?
დარდმა დამწვა, დამდავა:
იმ შავთვალა გოგოს თმა
და ღიძილი ბაგეთა
არ ამოდის თვალთაგან.

მოდო, რას უცდი...

მთები კვლავ დგანან შევერცხლილები,
მაგრამ მოფრინდნენ ბარში მერცხლები.
ცელქი მერცხლები.
შენაც მოფრინდი, შემოგვევლები!

მთაში უფოთლო დგანან ტევრები,
ბარში ფანტავენ სიცილს ტყემლები,
თეთრი ტყემლები.
შენც გამიცინე, შემოგვევლები!

მე ბარში ვარ და თითქოს მთაში ვარ —
ჩემი ყვავილი ჯერ არ გაშლილა,
თითქოს მთაში ვარ.
მოდო, რას უცდი, შემოგვევლები!

კ მ ა რ ა!

ნელი ზღვაური აშრიალებს
ზღვისპირა ბულვარს,
შენ ტკბები ამ მზის,
მიწისა და ცის სილამაზით.
ახალიები
ალისფერად ჩამწკრივებულან
და მაგნოლიებს
ყვავილების ღიმილი აზით.

შენ გულს გიხარებს სამხრეთული,
ღია ცის კალთა
და ზღვის ხავერდი მოლივლივე,
გაშლილი ლურჯად,
ეშხის მომგვრელი კულულები
შავგვრემან ქალთა
და ისარივით გატყორცნილი
კრიალა ქუჩა.

შენ ძლიერ გხიბლავს
 მარადმწვანე მიდამო ჩვენი
 და ზღვის ნაპირთან
 მიჯარული ზღვისფერი მთები.
 შენს ქერა სახეს
 მოწონების ღიმილი შვენის.
 როცა ქალს თუ ვაჟს
 მოფუსფუსე ქუჩებში ხვდები.

მაგრამ მე შეგხვდი...
 წამსვე შეკრთი.
 წარბები შეკარ...
 ხომ არ გენიშნა
 ჩემ სახეზე ძველი იარა?
 ხომ არ გაცოცხლდა
 ბრძოლის ველი,
 ბნურა და სოპკა,
 და მოგონებამ
 შეგაშფოთა, შეგაზრიალა?

იქნებ ერთმანეთს
 ომში შევხვდით ორი ყმაწვილი,

როცა სამი თვის ბალღი იყო
ცხრაას თხუთმეტნი:
მე გაოგნებით
ძოვდიოდი ხმალამოწვდილი.
შენ სანგრებიდან
ნალმს და დუმდუმს ათუხთუხებდი.

იქნებ ყურს ქვემოთ
შენ გამავლე მოლურჯო ხაზი
და ხიშტი მკერდში
მე გატაკე
როგორც ურდული!
— ეჰ, რატომ? რასთვის? —
სულს მიხუთავს ბოღმა და ბრაზი,
როცა, მგონია, ყურთან წივის
შენი დუმდუმი.

ბევრი სიცოცხლე
ჩაიფერფლა და ჩაინისლა,
რამდენს წილად ხვდა
პროთეზები და ყავარჯენი!
რამდენს ხსოვნაში

ისე დარჩა ბზურა და ვისლა,
როგორც ჩვენ დაგვრჩა
ჭრილობები — შენი და ჩემი!

ქვეყანა მორჩა
ნაბრძოლი და გაუტეხელი,
ჩვენაც მოგვირჩა
ის ნახმლევი და ნატყვიარი.
მაგრამ როდესაც
ნაიარევს მოსინჯავს ხელი,
გულში ტკივილი
შემომიტევეს ოხერ-ტიალი.

ჩვენ, სალდათებმა,
რა ვიცოდით — ვისთან და ვისკენ!
ახლა სხვა დროა.
უტყუარად ქვეყანამ იცის,
თუ რად „უყვარდათ“
ხელმწიფეს და კაიზერს ქრისტე,
გულს როგორ „სწვავდათ“
სარაევოს მოკლული პრინცი!

და ისიც ვიცით.
თავს ჯალათი რად დაგვყიოდა:
— დაჰკათ! მოკალით! —
ვიომებდით მართლა ბოლომდე,
რომ ხალხს ლენინი
და პარტია არა ჰყოლოდა,
რომ ლენინის გზას,
სიმართლის გზას არ გავყოლოდით!

II

ომიდან მოველ.
ჩემმა გოგომ არ დამივიწყა,
აღერსით მითხრა
განაწამებს და გადარჩენილს:
— ეს რა დაღია,
როცა გლოცავს მშობელი მიწა!
ქალს ხალი შვენის,
მეომარს კი ნახმლევი შვენის!
(ასე კარგი და კეთილია მეუღლე ჩემი!)

ნატვრა აგვიხდა:
ჩვენს სახელზე ფიცრული ჩანდა.

მიწით და შრომით
გლებქაცურად ვიჭერეთ გული.
თანაც მზად გვქონდა
შაშხანა და საველე ჩანთა —
საბჭოს ვიცავდით
საბჭოებზე შეყვარებულნი.

მალე ოჯახი
კიდევ უფრო აივსო შვიბით...
(ვაიმე, შვილო,
შენზე სიტყვა მტანჯავს და მიჰირს!)
თუ გულს აქამდე მიხარებდნენ
სხვისი ბავშვები,
ახლა მეც მყავდა
თავქოჩორა პატარა ბიჭი!

შვილი — მემკვიდრე,
ჩემი გზის და კვალის განმვრძობი...
ვის არ ახარებს,
სიამაყით ვის გულს არ ავსებს!
და ჩვენც ვიხარეთ
უსასრულო,

მშობლური გრძნობით,
ჩვენ ფრთაშესხმული
დავფრინავდით ოცნების ცაზე.

დღეებს ვითვლიდით.
ო, პირველი ფორთხვა და გავლა!
მზეს ვადარებდით გაღიმებას,
თვალეებს — ვარსკვლავებს.
ლამის გავგიყდით,
ორი სიტყვა როცა ისწავლა,
უკვე აკვანში ვუზომავდით
ბეჭებს და მკლავებს.

მერე სკოლა და სიჭაბუკე —
ვარდობის წლები,
გულში რომ ჩიტი დაიბუდებს,
ვარდი და ია,
როცა ოცნების
რამს მიაფრენ თავდავიწყებით,
ცა ქუდია და
დედამიწა ქალამანია.

მაგრამ იჭექა,
 მიწი შესძრა ავმა გრილმა
 და მოიკუპრა სხივნათელი.
 მზიანი დილა.
 სისხლისღვრა იყო.
 ჩვენ რომ ვნახეთ ისე კი არა.
 მტერი აროდეს
 ჩვენს შემუსვრას ასე არ ცდილა.

ჩემ შვილს ეძინა,
 როცა იმის ხმები მოისმა.
 ცერ-ცერად მიველ,
 დავიხარე
 უბადლო განძთან.
 ყველა მშობელი
 მშობელია პირველყოვლისა
 და. რა თქმა უნდა.
 არ იძრაახვის მშობლური განცდა.

დედის თვალეზზე
 მწუხარების ცრემლი არ შრება,
 და ვერც მის სიტყვებს

უსაფუძვლოდ ვერავინ ჩათვლის:
— მე შეიღისათვის მიყვარს სამშობლო,
მე შეიღი მიყვარს სამშობლოსათვის!

ძლივს ეს უთხრა და...
ჩვენი ვაჟი წავიდა ომში.
ის იქ იბრძოდა,
ჩვენ ზურგიდან შრომით ვშველოდით.
დავიღუპოდით —
არ გვებრძოლა ლენინის დროშით,
პარტიის დროშას,
წითელ დროშას არ გავყოლოდით!

III

ლენინის სიბრძნე
გვინათებდა სისხლიან სავალს,
ხალხი ლომს გავდა.
როცა ბორგავს ფაფარაყრილი.
ჩვენი სამშობლოს
სადიდებლად და დასაცავად
იყო ვაჟკაცთა
რკინება და გადაძახილი.

ცეკასთან ერთად,
 ღამეს ტეხდა
 კრემლში სტალინი,
 სალუტებს წერდნენ
 ფიქრით მოსილ მოსკოვის ცაზე,
 შორს გამარჯვება
 ციმციმებდა ნაპერწკალივით,
 მტკიცედ რომ ვჭედდით
 რწმენითა და იმედით სავსე.

და გამოვჭედეთ...
 ძვირი დაჯდა ეს გამარჯვება.
 ამ წმიდა ომში
 დაიღუპა მებრძოლი ბევრი.
 მსხვერპლი გაიღეს მოხუცებმა,
 თოთო ბავშვებმაც...
 ნახე ციფრები
 ყველა მთქმელზე უხმო და მჭევრი.
 შენ არ იცოდი —
 რას გვიქადა იმ წლის ივნისი,
 ვერმახტის მარში —

თაშამი და თითქოს უღლედი.
შენ არ იცოდი --
ბედნიერი ჩემი შვილისთვის
შენს შვილს მოჰქონდა
სამარცხვინო მონის უღელი!..

შვილი დაკარგე.
დაკარგულად მაინც არ ითქმის.
შენც დაკარგე და
ამას სწორედ დაკარგვა ქვია:
ჩემ შვილს
ქვეყანა
კომუნიზმის მშენებლად ითვლის.
შენ კი მოტყუვდი...
და ამასაც ტყობილობ გვიან!

ახლა რას ფიქრობ?
გულლიად ვთქვათ,
ნუთუ არ კმარა,
ხალხი რომ გაწყდა,
ყანები და ბალები მოხმა!
ზღვებს შეადგენდა

რაც ქვეყანამ სისხლი დაღვარა,
 მიწას გახვოქდა
 შვილმოკლულთა ცრემლი და ოხვრა!
 და თუ ვერ დავძლევთ
 დამპყობელთა ველურ ადათებს,
 თუ ყველა ხალხი
 ომს არ დავმობს მის სამშობლოში,
 თუ მშვიდობის და ძმობის დროშა
 ვეღარ აღვმართეთ. —
 კაცობრიობა
 მუდამ ივლის ომიდან ომში.

ისევ და ისევ გაჩაღდება
 ომის ხანძარი.
 დაღუპულ შვილებს
 დაიდარდებს საბრალო დედა,
 ომს კვლავ მოჰყვება
 სისხლის ტბორი და ნიაღვარი,
 თუმცა ზავი და
 ნიურნბერგიც გამეორდება.
 მაგრამ ის არ ჯობს,
 წინდაწინვე ყველამ იცოდეს,

რომ ხალხის სისხლი
დაუსჯელად არვის ჩაუვლის,
უკვე დროა და
უნდა ახდეს ხალხთა ოცნება ---
მოისპოს ომი ---
ეს მხეცური დანაშაული?!

კმარა!
ერთმანეთს
სამეგობროდ ჩაეჭიდოთ ხელი,
ყური დაუგდე ---
ცრემლიანი ღალადი ისმის:
— დაე, დასრულდეს!
დაე, იყოს უკანასკნელი
ჩვენი შვილების
ნათელი და უმანკო სისხლი!

მამა - უვილი

(ეპიგრაფი)

ბომბებს მიდამო გადაერუჯა,
ნისლი და კვამლი ელაგა სერზე...
მიშელ დორიო მაგიდას უჯდა,
ხელებს ნერვულად ისვამდა წვერზე.

თმა — შემოდგომა, წარბები — მწყრალი,
შუბლზე — ნაოჭი ლარივით სწორი,
ყურთან ლოყაზე — მოზრდილი ხალი
და ცალ წარბამდე — ნახმლევი ორი.

ზის და ვინ იცის, რას ფიქრობს იგი,
ან რას დაეძებს ოცნების ცაში.
შორით სროლაა, დუმილი ირგვლივ
და ამ დუმილში სულის განგაში.

ზარი. მიშელის სახეს თუ ნიღაბს
შუბლზე გაეხსნა ახალი ბზარი.

მერე სახელურს ეწევა ვილად.

— ვინ ხარ? შემოდი! —

გაიღო კარი.

— რუსი ზოლდატი გონზე მოსულა.

— მომგვარეთ!

— მაგრამ ტაატით დადის.

— ვინ გკითხა? მისი ნივთები სრულად
გამოაყოფეთ ბოლშევიკ-ნადირს! —

ელსმენის ზარი.

წარბები შეკრა.

ჩაახველა და აიღო მილი.

— ალო... შენ ხარ, ყორყ? საიდან რეკავ?
როდის?

სახეზე ჩამოწვა ჩრდილი.

— ბევრნი ხართ? რაო?

როგორ თუ მარტო?!

მიმართულეზა?.. ეს მე ვიცოდი...

მაგრამ რუსეთი დიდია, ფართო...

მომინახულო? კარგია, მოდი. —

ამაოდ ისმენს გუშაგი ქართულს,
და როცა მიხვდა, წავიდეს დროა,
უფროსს შეხედა, ბაასში გართულს,
და გაიყოლა ეჭვების გროვა.

— უკანასკნელი ჩემი ნუგეში... —
და მამის თვალზე დაცურდა ცრემლი.
მერე მონახა ჯიბე-უბეში,
სურათს დახედა...
— მემკვიდრე ჩემი!

წამოიშალა გულის დარდები.
ცხოვრება ცრუ და საკმაოდ ბნელი,
უქმად გავლილი ახალგაზრდობა
და ავკაცობა აურაცხელი.

თვალწინ დაუდგა მიხა — პატარა,
ადრე ჩამქრალი ალერსი დედის,
მამა, ღვინოს რომ გადაატანა
თავისთავიც და ოჯახის ბუდიც.

ვალში აღმოჩნდა ფეხით-თავამდი,
დაყიდა მიწა, ყანა და ბაღია.

და მერე ძველი, კოტრი თავადის
მხოლოდ ჩიხა და სახელი დარჩა.

სოფელს გაშორდა. ან იქ რა ჰქონდა?
ნათესავეებსაც მობეზრდათ ბოლოს.
დედისეული ერთი ოქრო და
მამის ქამარი წაიღო მხოლოდ.

ბათუმში შეხვდა ნაცნობს შორეულს,
სოფლიდან ჩასულს, ყუთების მტვირთავს.
თავმოზეზრებულს და ბრაზმორეულს
ხარჯის გადახდა ამაოდ ჰპირდა...

ცხრაას თოთხმეტი. სხვების რჩევითაც
მისა მიბრუნდა ახალი გზისკენ:
მეფის ცხენოსან ჯარში შევიდა,
როგორც ერთგული და მოხალისე.

იქ მოეწონათ — ბრგე და ჩაუქი,
მსმელი, მომლხენი, მარჯვე და კოხტა.
მალე იშოვნა ყალბი საბუთი
და საოფიცრო სკოლაში მოხვდა.

ფრონტი, ბრძოლები, წინსვლის იმედი.
დაჭრა, დაჭრა და გიორგის ჯვარი.
მერე მრისხანე ცხრაას ჩვიდმეტი,
და მოიშალა ფრონტი და ჯარი.

ესეც უბედო ბედის ღალატი,
ისევ ისეთი, რაც განუცდია...
მალე გადიცვა მუშის ხალათი,
ვითომ მიიღო რევოლუცია.

გულით კი ახალ მეფეს ელოდა,
როგორც ელოდა მისთანა ბევრი...
გაცუდდა მეფის სადღეგრძელო და...
გახდა ესერთა პარტიის წევრი.

მაგრამ კვლავ გაჩნდა საფრთხე ახალი —
რევოლუცია იწყება მხოლოდ!
ბოლშევიკების შიშით დამფრთხალი
საქართველოსკენ გაიქცა ბოლოს...

— აი, ქვეყანა!
მაგრამ როგორც ჩანს,

ის პარტბილეთი არ ვარგა ახლა.
დროის მოთხოვნას არც აქ ჩამორჩა
და მენშევიკის მანდატი ნახა.

გული იშვებს და სული ისვენებს.
ამაზე მეტი მთავრობამ რა ქნას:
სოფელში წავა — მამულს მისცემენ.
ქალაქშია და — თავადობს აქაც.

დაიდგა სახლი, შეირთო ცოლი;
იწყო პარპაში განუკითხავი.
ვზა გაიკათა წითლებთან ბრძოლით.
გვარდიის შტაბში ამოჰყო თავი...

მაგრამ ხანმოკლე გახდა ეს ლხენაც.
ოქტომბერს მოჰყვა თებერვალ-მარტი.
მიხამ ბათუმში ღმერთი ახსენა
და უცხოეთში აიკრა ბარგი...

პარიზი. სხვათა კარზე წრიალი.
მათხოვრობაში, სესხსა და ვალში,
მერე ხანდაზმულ ქვრივთან ტრფიალი,
მეორე ცოლი, მეორე ვაჟი...

— ჟორჯი! —

და გახსნა შუბლის ბზარები,
ზღვარი დაუდო შავ ნალველს ამდენს.
მოგონებათა დახშო კარები
და მიუბრუნდა ახლანდელ ამბებს.

მესამედ არის დღეს, რომ მიფრინავს,
და მამის გულიც მესამედ იწვის:
ეჰ, რატომ ანდო შვილი თვითმფრინავს...
ცამ ხომ ათასი ზიფათი იცის!

ერთადერთია... განა ათი ჰყავს!
ხმელეთზე იყოს, აქ სხვაა რუკა.
არა, ითხოვს და შტაბში გადიყვანს,
ოღონდ ამჯერად დაბრუნდეს უკან...

ამ დროს გაიღო ფრთხილად კარები.
მოსულთ დორიომ შეხედა მკაცრად.
ტყვე კოჭლობით და ნელი ტარებით
შემოიყვანა მსახურმა კაცმა.

როცა მხლებელი ისევ გავიდა,
დორიო კიდევ ფიქრობდა დიდხანს.

მერე წაართვა ფიქრებს თავი და
უგულოდ მისცა პირველი კითხვა.

დუმილი. კითხვა... კითხვა მეხუთე.
მაგრამ ტყვეს ერთი სიტყვაც არ დასცდა.
დორიოს სუნთქვა ბრაზმა შეხუთა,
გული კი არა, მკერდიც კი გასკდა.

სახეს მოედო ანჩხლი გულმოსვლა.
ნერვული კითხვა... გავიდა ხანი.
მაგიდას დაპკრა ხელი უფროსმა
და ნახმლევეებზე გალურჯდა კანი.

— არც გვარი იცი და არც ნაწილი?
იქნებ არ გესმის რუსული ენა? —
მაგრამ არაფერს ამბობს ყმაწვილი,
და საზღვარს გასცდა დორიოს წყენა.

— ჯიუტობ? ვნახოთ, როგორ გაიტან,
პირს გაგიღებენ ხიშტიით და დაშნით.
ეს სისულელე გავა თავიდან
და იტყვი, იტყვი ყველაფერს მაშინ! —

სიჭკვა და წამოდგა ყბების ცახცახით,
სწრაფად მოზიდა მაგიდის უჯრა.
ხელში აიღო წნული მათრახი,
შემართა...
ზრახვას გზა გადაუჭრა.

მერე უზომო ბრაზით გამშრალმა,
შემოუარა მაგიდას ხვნეშით.
ყდა დაინახა. სწრაფად გაშალა
და პარტიზილეთი აიღო ხელში.

კიდევ შეხედა ტყვეს და პარტიზილეთს.
იყუჩა. კიდევ შეხედა ვრთხელ,
თითქოს მუქარის თვალით აფრთხილებს,
რომ ამ საბუთით ვკვლა ტყვეს ხვრეტენ.

ბილეთს კვლავ უცქერს ფიქრით გართული,
ხელი მოუხსვა დანაჭდევ ხაზებს,
და რომ ნაწერი ნახა ქართული,
უხმოდ დაეშვა მახლობელ სკამზე.

— ქართველი! — ჩუმად გასცრა თავისთვის,
გულს მოხვდა რაღაც ტყბილი და ნაზი.

წამით გამოვრთა თვალში ხალისი
და მერე ისევ ცოფი და ბრაზი.

სისხლი აჯანყდა შურისძიებით.
აქამდე გულზე ლოდად რომ აწევს.
მერე გულდაგულ და ჩაცვივებით
დახედა, კიდევ დახედა ნაწერს.

— რაო?! მიხას ძე... ვანო დორელი...
ვისია, ბიჭო, შენი თუ სხვისი? —
ჰკითხავს ქართულად, ნერვულ ზმორებით,
ყელში და თვალში აწვეება სისხლი.

— თქვენ ქართველი ხართ?

— პო. კი... ქართველი. —

ტყვეს ეუცხოვა ქართულად მტრის ხმა.
უფროსმა დათმო რაღაც სათქმელი
და გადიყარა სახიდან რისხვა:

— ბიჭო, მითხარი, ხომ არ გსმენია,
ახლა სად არის დორელი, მიხა?
იქნებ წამოსცდა ვინმე შენიანს,
ანდა შემთხვევით გარეშემ გითხრა?

სდუმსხარ... ეს შინც ღიად მითხარი,
აქ საიდუმლო რამეს ხომ არ გთხოვ!
სთქვი-მეთქი... არ გაქვს სისხლის მისხალი!
მიხაც აქ არის... არ გინდა ნახო?

და ტყვეს ჩახედა ისე თვალებში,
თითქოს წინ ედგა სააკუნე ბავშვი.
ტყვემ რისხვის ნაცვლად რაღაც ალერსი
ამოიკითხა უფროსის თვალში.

— ყველაფერი სთქვი... რატომ დადუმდი?
ვინ დარჩა ახლა თქვენებში ძველი?
რას შვრება ზღვა და ჩემი ბათუმი.
ბაღი. ბულვარი. კახაბრის ველი?

— იქ ვიცხოვრიათ. როგორც ეტყობა...
— მიხას მეუღლეს... მაროსაც იცნობ? —
და სანამ ცოლის სახელს იტყოდა,
გულში ათასი სიმწარე იგრძნო.

ტყვე ამ შეკითხვამ ეჭვში გახვია,
და გულის ლელვა მკერდსაც კი გახევეს.

იგი უაზროდ, უხმოდ, თვალდია
მისჩერებია ხალსა და ნახმლევს.

— მატყუებს... მაგრამ დედის სახელი?..
ანდა ტყუილი რად უნდა მითხრას?
მერე ეს ხალი... ორი ნახმლევია...
ეჭვებს და ფიქრებს ებრძოდა დიდხანს.

ბოლოს:

— რას იცნობთ მამას და დედას?.. —
მამამ გაშალა ორივე მკლავი,
შვილი მოზიდა, მკერდში ჩაჰყვდა.
კვნესა ამოხდა გულმოსაკლავი.

— შვილო ტანჯულო... შვილო ნანატრო!
— მამავ! — და შვილიც ჩაეკრა თვითონ.
ეუცხოვება, მაგრამ ამავე დროს
გულს ესალბუნა მშობლური სითბო.

და წამსვე შეცბა. ამოიგმინა.

— მამა?! მინდიხარ და მენატრები,
მაგრამ... —

წამოდგა. გაეშეშებინა. —

მამა და შვილი — მოსისხლე მტრები!

მამა ვერ ცხრება, ხარბად უცქერის
და თავს ვერ ართმევს მოწოლილ ფიქრებს.
ვანო ისევ დგას ადგილუცვლელი
და ბრძოლისათვის ძაღლონეს იკრებს.

— ბიჭო, მითხარი, მარო რასა იქმს?
ალბათ, ჩამოდნა საწყალი ქალი... —
შვილი კი სდუმდა. სდუმდა ქვასავით,
და მამას ბრაზით აენტო თვალი.

— იტყვი თუ არა?

— ჩვენ ვართ მარტონი?

შენ არ დაეღუპოს ამ აღელვებამ:
გამცემს გამცემი, ბატონს ბატონი,
ჯაშუშს ჯაშუში არ დაელევა.

— მაფრთხილებ კიდევ...

კარგი, ვიყუჩებ.

მე დავწერ... ხელი შენ მოაწერე.

იცოდე: რასაც ახლა იურჩებ,
სანანებელი გახდება მერე.

ჰო, მე დაგიწერ... რა გაეწყობა...
რომ შენი ნებით გადმოდი ჩვენკენ...
რომ საბჭოების არ მოგწონს წყობა,
ბოლშევიკები სულსაც კი ჩხრეკენ...

— კმარა!

— ჰო, შევწყვეტ... დრო საშურია.
ვნახოთ. სიცოცხლე გაჩუქონ იქნებ.
— სიცოცხლე!.. იგი ვის არ სწყურია,
მაგრამ ამ ხათვანგს ამაოდ მიგებ!

— მამა გთხოვს.

— მამა?!

— დიახ, მშობელი.

წლობით რომ ზიდა მემკვიდრის ნატვრა.

— მამა... ჰო, მყავდა... მიუწვდომელი...
მაგრამ აღარ მყავს... იყო და გაქრა...

საბრალო დედა! როგორ ცდებოდა!
თითქმის ყოველდღე გავყავდი ზღვაზე.

შენზე ფიქრობდა და ოცნებობდა,
ცრემლებით ჭქონდა თვალები სავსე.

მე მიმაღავდა, მაგრამ ამაოდ.
როცა ატყობდა — ვხედავდი მის ცრემლს,
აი, იქ არის შენი მამაო,
ხელს გაუშვერდა უსაზღვრო სივრცეს.

ზღვას ბავშვის მზერა გადაუვლიდა,
ეჩვენებოდა ტალღებში გემი,
კემში მოჩანდა მამის გული და
შიგ სიყვარული მეგონა ჩემი...

ახლა... ბედნიერ სამშობლოს ვიცავ,
მას შემოევლავ ეს გული წმინდა!
შენ — მტრის ბანაკში...
მტრის სახელს ვიცავ...
და მეც ლალატში გამრიო გინდა?!

მამა მოეშვა. თავი ასწია
და ტყვეს გულდაგულ ჩახედა თვალში.

დარწმუნდა: ვანო უკვე კაცი
და არა ისევ ორი წლის ბავშვი.

* * *

კარი გაიღო და ახალგაზრდა
მიშელს მივარდა ხელებგაშლილი.
მაგრამ რომ ნახა, აქ, მამის გარდა,
სხვაც არის. — უცებ შედგა ბავშვივით.

— პარდონ! აქ უცხო კაცი ყოფილა.

— დაკითხვაზე მყავს, —

მოზილა ვაჟი. —

მიდიხარ?

— მალე. —

უკმაყოფილო

სიმი აღეყრდა დორელის ხმაში.

— პაპა, რატომ ხარ აღელვებული? —

და მერე თვალი უსწორა ტყვესაც.

ტყვემ არ იცოდა ენა ფრანგული,

მაგრამ ეჭვების ხმა შემოესმა:

მიხვდა — ეს ვაჟი მამის შვილია,
მიხვდა — ეს ვაჟი ძმა არის მისი.
აღბათ, ის მამის დაგეშილია
და იმასავით სწყურია სისხლი.

რუსულად ჰკითხა ახალმოსულმა:
— ჩუვანში ხარ თუ ნამდვილი რუსი?
თქვენა ხართ, ასე ბარბაროსულად
გერმანიას რომ ცხოვრებას უშლით?

— რუსული ენა არ ვიცე კარგად. —
განზრახ ჩაურთო ვანომ ქართული.

— ჰა! ქართველი ხარ? —

ჟორჟი მივარდა

თავდახრილ ტყვესთან წარბშემართული.

— ჟორჟ!

უკვე წყრომით უთხრა მიშელმა, —

შენი საქმე და შენი გზა ნახე! —

ისევ ფრანგული წამოიშველა

და შვილს მრისხანე უჩვენა სახე.

ჟორჟი გაქვავდა. ფერდაკარგულმა
გულმოსულ მამას ბავშვივით სთხოვა:

— ცოტას, სულ ცოტას, —
უთხრა ფრანგულად, —
სანამ გაფრენის საათი მოვა.

— მოკლედ და ფრთხილად! —
მისცა უფლება
ქორეი ტყვის ახლოს უმაღლვე გაჩნდა.
დიდი ხანია გასაუბრება
სწყუროდა ქართველ, საბჭოთა კაცთან.

— ბოლშევიკი ხარ?

— პარტიის წევრი.

— ჩვენთანაც უთქვამთ და გამიგია,
რომ წითელ ჯარში ძალიან ბევრი,
თითქმის სულ ყველა ბოლშევიკია.

სახლი სადა გაქვს?

— ბათუმში. ზღვასთან...

— პაპა! სიზმარში ხომ არ ვარ ნეტა!..
და იგონებო, ტანში ხანძარი გაჩნდა,
გულში — ტკბილი და საამო ჩხვლეტა. —

მოდრი, ბათუმის ვკითხვით ამბები...
შენ იცი? მამაც იქიდან არის.
იქ ჰყავს ტოლები და მეგობრები...
ცოლი და შვილი... სახლიც და კარიც.

— მე ყველას ვიცნობ... სახლიც კი ვიცი...
ისიც, თუ რომელ ოთახში მდგარა... —
გაცოფებული გრძნობის კივილში
მამამ შესძახა: „შესწყვიტე, კმარა!“

— პაპა! რა მოგდის? რატომ მაწვალე?
დიდი ბოდიში, თუ კიდევ შევცდი...
— შვილო, აქ მოდი, მო, გენაცვალე.
ეს ის შვილია... რომ მითქვამს შენთვის...

— როგორ?! —

შეატყდნენ ურთერთს თვალებში,
სამივეს ხელი ათრთოლდა გულთან.
ისმის უსიტყვო, ჩუმი აღერსი
და სამი თბილი, ძალუმი სუნთქვა.

ქორევი გაერკვა. გრძნობააშლილი
მივარდა, ტყვე ძმას გაუხსნა ხელი.

ვანომ მოსხლიტა ჟორჟი ბავშვივით,
გულში ჩაიკრა ეს ძმა და მხსნელი.

ეს ოცნებაშიც კი არ მოსწრიათ,
ჭვრეტენ ერთმანეთს თავდავიწყებით,
და მერამდენედ მაგრად კოცნიან
ახლადშობილი დიდი ხნის ძმები.

— შვილებო! — ფიქრებს თავი წაართვა,
და მათი გონზე მოყვანა სცადა. —
ჩვენ ხომ სახლში და მარტოდ არა ვართ,
მოთვალთვალე გვყავს, ვინ იცის სადა...

წამსვე გაეკრნენ კედელს ჩრდილები
და დიდხანს დარჩნენ უძრავად ასე.
იდგა მამა და იდგნენ შვილები
ჩუმი, უსიტყვო ფიქრებით სავსე.

დაბოლოს მძიმედ ამბობს მიშელი:
— ერთი გზაა და უთუოდ სწორი.
ერთად დავრჩებით გაუთიშველი
მე და თქვენ — ჩემი ვაჟკაცი ორი.

დღესვე ვაცნობოთ მაღალ სარდლობას:
ისე გულდაგულ ვიბრძოლებთ მტერთან,
რომ ფიურერმა გვითხრას მაღლობა,
ანდა სამივე გავწყდებით ერთად.

— არა! გადაქრით ვაცხადებ ამას.
რად გვინდა აზრის გრეხა და ტეხა!
მამა გაფიცხდა:
— შენ ერთი ხმა გაქვს,
ჩვენ ორი... მასთან სამხედრო ტყვე ხარ!

— მაგრამ...

— შენ ბედმა კარი გაგიღო!..

— პაპა, რატომ ხარ ასეთი მკაცრი?

— ჰო... შენ რას იტყვი? მინდა გავიგო
ჩემი უმცროსის გეგმა და აზრი.

— პაპა! რამდენჯერ შვების წამივით
ჩემი სამშობლო მინახავს ფიქრით...
შენ მართალი ხარ... ერთად სამივე,
მაგრამ.. თოვლიან იალბუზს იქით!

მამა გაგიჟდა:

— ეს რა წამოგცდა?!
ახლავ, ამ წუთში ციხეში წახვალ!

ძვირად დაჯდება ჩემი გამოცდა.

ეს ვერაგული აზრი და ზრახვა.

— დე ასეც იყოს... მხად ვართ ორივე.
ოფიცრის სიტყვაც: არ ვიხმართ ძალას.
ჩქარა, სასწრაფოდ იხმე შორიგე
და გესტაპოში მივვეცი ჯალათს!

— უორჟ! ჩემი სიტყვა გემახსოვრება
და თავსაც ისე დაიჭერ, ვგონებ.

— პაპა! რა არის ჩვენი ცხოვრება,
სად მიდის ჩვენი ცოდნა და ღონე?

ერთხანს ფრანგების გვწვავდა სვე-ბედი,
მკერდით ვიცავდით საფრანგეთს მაშინ.
იგი მოჰკლეს და მერე შევედით
თვით საფრანგეთის მკვლელების ჯარში.

გერმანიასაც მალე მოჰკლავენ
მთელი მსოფლიოს დაპყრობის ცდაში,

და სადღა ვნახოთ ბედის ვარსკვლავი,
რომელი ქვეყნის სისხლიან ცაში?

არა. ძნელია, როცა არ იცი.
საით მიიღტვი, ვისკენ და რისთვის.
არ იცი რატომ ცხოვრობ და იბრძვი,
ვის მოახმარო გული და სისხლი...

— ვანა არ იცი?..

— პაპა. მრცხვენია!

ამხანაგებმა შემარქვეს ბუში.
ვითომ ხუმრობენ და იცინიან,
მაგრამ დანბერგი გამიტყდა გუშინ.

მითხრა: ვის ებრძვი, რისთვის ებრძვი?

ენა დამეზა. რა უნდა მეტქვა!..

არა. დრო არის ჩემ გზას ვეწიო.

და რაც დავკარგე, მაკმაროს ღმერთმა...

დღეს რუსეთისკენ უნდა წავიდე,
უნდა წავიღო სიკვდილის ტვირთი
და არ გამოდის კითხვა თავიდან:
ვის წინაშე და რომელ ვალს ვიხდი?

არა! დასრულდა ყოფნა საძრახი,
უქმი წრიალი კმარა, მომწყინდა!
მე მიყვარს ჩემი მშობელი ხალხი,
მე სამშობლო და მიზანი მინდა!.. —

მიშელს გაუტყდა, ხედავს, მახვილი,
თითქოს შიშველი — ლამბაქზე დადევს...
სინანული და გულის ძახილი
ამოაყოლა დიდი ხნის დარდებს:

— მომწიფებულხარ და მიხარია.
მაკვირვებ, შვილო, სიტყვით და რჩევით...
ვიცი, რუსეთი ჩემი მხარეა
და საქართველო — სამშობლო ჩემი.

მაგრამ ვაი რომ დრო გასულია
და ჩემი ვარდიც დამჟკნარი უკვე...
გასაგებია ჩემთვის სრულიად:
ჩვენ გავიმარჯვებთ — ძველები, თუ თქვენ.

მე ხომ წარსული ცუდად გავლიე
და მომავლისკენ ჩავტეხე ხიდი.

მეც მიკვირს, ისე უაძრავია
მოსანანი და გამოსასყიდი.

თქვენ ახალი ხართ და დროც თქვენია,
თქვენ კიდევ გზა გაქვით და მომავალი...
სამშობლო... ძნელი მოსათმენია,
მაგრამ არ მიშვებს წარსულის ვალი.

თქვენ, თუ მოხერხდა უმტკივნეულოდ,
ორივეს ერთად გაგიშვებთ ახლა,
თუმცა ომია, ომი წყეული
და ყოველ ნაბიჯს ხიფათი ახლავს.

— მამა! — გულით სთქვა ვანომ პირველად
და შიში არა, სიმორცხვე იგრძნო. —
ვხედავ, ღრმია და გასაკვირველი
შენი სიტყვა და ცხოვრების სიბრძნე.

მაგრამ სამშობლო გულით თუ გიყვარს,
ამის უკეთეს დროსაც ვერ ნახავ:
მიხვალ, თან ორი ვაჟკაცი მიგყავს...
და ძველ ცოდვებსაც დაგიტომობს ახლა.



— არა! თქვენ წადით... ვიშველოთ ღძერსა.

— გმადლობა.

მაგრამ ჩვენ არ წავალთ მარტო.

ბარემ სამივემ ვაეთედლოთ ერთად

ეს გზა საძნელო და სახიფათო.

— გვიანი არის.

— ეს ნუ გადარდებს.

— გვიანი არის, შვილო და კარგო!

— თქმულა:

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

წამოდი, ერთად პასუხი ვაგოთ.

— პაპა! ხომ გესმის ვანოც რას ამბობს!

ვთხოვთ და კიდევ გვაქვს ამის უფლება:

ამას გვიბრძანებს ჩვენი სამშობლო.

ჩვენი ხალხი და თავისუფლება.

— შვილო! ეს სიტყვა ლურსმნად მესობა...

მაგრამ იარეთ ისევ თქვენ... ორმა.

— ახლა ხომ ჩვენ ვართ უმრავლესობა!

წადი, მოიტა მფრინავის ფორმა!

დროა... მეც მიხმობს ჩემი რამის
მე რქ ვიქნები. სადგურის გვერდით.
ვითომდა ჩემი ეკიპაჟი ხართ,
დაუკითხავად მიდით და შედით...

მამის ლოყებზე გაჩნდა სისველე.
ყოჩაყი წავიდა აღელვებული.
ვანო უძრავად იდგა ისევე
და ამოვარდნას ლამობდა გული.

* * *

დილის წინ ქარის სტვენა გახშირდა.
სუსხი მოჰქონდა დამწვარი ტყიდან,
ღმუოდა სოფლის ჩამქრალ ნახშირთან,
თოვლს ნაყუმბარევე ორმოში ყრიდა.

ქარმა იკლო და ველი დანისლა.
საგუშავგოსთან ორი დგას ჩრდილი.
— შესდექ! ვინ მოდის! — მერე გაისმა:
— თვითონ დორიო თავისი შვილით!

ყოჩაყი იცდიდა.
— აბა ჩასხედით! —

ვანო ძმის გვერდში აღმოჩნდა წამსვე.
— შენ რაღას უკვდი? — მამას შეხედა. —
რაღაც არ გიგავს მგზავრსა და წამსვლელს.

— დიახ! —
ორი ძმის ტვინში იელვა... —
და ერთი სიტყვაც არ უთხრათ ვისმე...
არვინ იცოდეს ძეხორციელმა,
რომ მე აქა ვარ. ვხედავ და ვისმენ... —

თქვა და შეჩერდა. ყელში ხმა გაწყდა.
გულში ვიღაცა შფოთავს და ჩივის:
ეს ლალატია. როგორ გადაცდა!..
გაქრა სახელი, ჯვარი და ჩინიც...

მერე გესტაპო!..
ისევ შეჩერდა.
და გულიც ისევ ეჭვობს და ნანობს,
წყევლის ტყვე შვილის ნახვას, შეხვედრას,
წყევლის გაჩენას. თავსა და ვანოს.

გესტაპო! — ისმის მწარედ და უხმოდ...
რატომ გამოჩნდა ეს ბიჭი ნავსად!..

იქნებ ისა სჯობს, მცველებს მოუხმოს,
უორჟი იხსნას და უშველოს თავსაც.

და:

— სად ზიდიხართ? — სთქვა გერმანულად.

ვაქცეულთ ახლა წააწყდა ვითომ.

ხმა სუსტი იყო და გაბზარული, —

მიშელ დორიო შეაკრთო თვითონ.

— არა... გათავდა... —

ბიჭებს შეხედა.

და კიდევ ხარბად შეხედა ერთი.

ჯიბე მოსინჯა. ლულის შეხებამ

რალაც სიამით აუვსო მკერდი.

მაგრამ დრო მიდის.

თვალის ბრიალით

საჭეს მიუჯდა უმცროსი ვაყი.

უცებ იელვა.

ხოლო გრიალი

უმალ ჩაინთქა მოტორის ხმაში...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ბიბ

სანამ თვითმკვლელობას გახსნებენ მცველები
მანქანა უკვე შეიჭრა ბურში.
უკან დატოვა ბრძოლის ველები
და მოსკოვისკენ აიღო კურსი.

1943-60.

თარგმნილი

გო გო-ჟო

მ ა ნ ა ნ ა

კოემა

ჩემო მანანა,
ბვირფასო და კარგო სტუმარო,
წითელი კაბით
წითელ ყვავილს მაგონებ შენა!
ციცქნა ფეხებით
კილომეტრი ორი იარე
ზღვის ნაპირ-ნაპირ.

ეს გზა შორი ხომ არ გეჩვენა?
მაგნოლიის ქვეშ დგახარ.
მზე ზღვას ამოეფარა.
ამბობენ,
თურმე დამელოდე ორს თუ სამ საათს,
შენ მამაცურად
თვით მიაგენ სანატორიუმს.
რომ იქ გენახე
ყვავილთ კონის გადმოსაცემად.

აქ ყველგან ბევრი ყვავილია
ნაზი, წითელი,
სათამაშო კი —
თუთიყუში ჭრელი, პაწია,
მთელ სანაპიროს
არ ჰყავს მისებრ სხვა მიმზიდველი.
იგი ამ ქვეყნად
შენთვის, ვიცი, დიდი ვანძია...

გინდა,
იმ ჩიტით გავაკეთებ ჭეჭე ფიალას,
და უსასრულო
სიამის სმას იმით დავიწყებ.
... არ ვიცი, ჩემო.
რას შემამთხვევს ბედი ტიალი,
მაგრამ შენს ნობათს
არასოდეს არ დავივიწყებ.

... ზღვისპირა ბაღში
გადავიღეთ ერთად სურათი.
ჩემ დას ლუ-ძოის
მადლობის მეტს აბა რას ვეტყვი.
შეხე, რა შეენის

ეს ლაყვარდი ცის სასრულამდი,
ეს მწვანე მთები,
ეს ცისფერი წყლის ანარეკლი.

მთათა მწვერვალებს
რუხი ნისლის რიდე აბურავთ.
რა სუფთაა და გამწვირვალე ამ ცის სილურჯე!
მთები,
ხეები.

ზღვა

მართავენ ჩვენთან საუბარს,
და შენ მასწავლი
ქართულ სიტყვებს, ქართულ საუნჯეს.

იტყვი და ფრთხილად ვიმეორებ,
თუმცა ძლივს მახსოვს.

შენს ბავშვურ ხელებს

თვალს ვადევნებ ახლის ახსნამდი.

„დიდი მადლობა“ — შენ მასწავლე,
გმადლობ, ძვირფასო!

„ნახვამდის“, ნორჩო მეგობარო,
მართლა ნახვამდის.

რომ გაგაცილე,

მერე ზღვაში დიდხანს ვიცურე.

ტალღა მარწევდა,
ფრთხილად, როგორც მარწევდა დედა.
მერე ზღვისპირით
თქვენს ქალაქში მოსვლა ვისურვეთ, —
ეს კი ლუ-ძოის
იყო რჩევა, წინადადება.

კილომეტრები
გავიარეთ რაღაც იოლად —
ის გზა, დილით რომ გაგივლია
ჩემი ძებნისას.
მე მაგნოლიამ
ტოტით მთხოვა მობრძანდიო და
ხეივნის ჩრდილში
ვნახეთ ბოლო ჩვენი გზებისა.

შენ გამაცანი
შენი დედა,
გამაცან მამაც
და ორი წლის ძმა —
ახალგაზრდა ოჯახი მთელი.

მე ვთქვი:

„სურათი გადავუღეთ ჩვენთან მანანას,
მსურს პეკინიდან ვუგზავნიდე

გოგონას წერილს.

მაგრამ შინ დამრჩა

ქალაღდიცა და კალმისტარიც...“

შენმა მამამ კი

ასე მითხრა იმ წყნარ საღამოს:

„გოგონამ იცის

თქვენი ლექსის მრავალი პწკარი,

დღეს თქვენი ნახვის

ნატვრაც ახლა მისთვის საამოდ“.

ხოლო გოგონამ

მამას გულით უსაყვედურა.

მისმა სიტყვებმა

აგვალელვა მეც და სხვა დამსწრეც.

„რად არ მოიწვევ,

სტუმრებს უშვებ უხატაპუროდ?“

ოი, მანანავ.

მტკიცედ იცავ ქართულ ადათ-წესს!

მაგრამ მითხარი,

ლექსებიდან გიყვარს რომელი?

სადაც სტალინის მშობელ მიწას

მზისგან ვერ ეთიშავ,
სად ვესალმები მზარეს,
შიგ რომ ხარობს მშრომელი,
თუ დიად ძმობას
ჩინეთის და საბჭოეთისას?
სადაც მტრებს ვგმობდი
მკაცრი სიტყვით და გაცხარებით,
იმათ, ვინც ომით
ცდილობს ეს მზე გადაგვითელოს?
„დიახ, ალბათ ეს“, —
გავიფიქრე მე მღელვარებით.
„დიდი მადლობა“,
მადლიერო
ნორჩო მკითხველო!

მავნოლეების ყვავილებთან
სუნთქვა ნაზია.
ხეივანით დავალ —
ყვავილებში მხიბლავს გარება.
გულში ჩამეჭდო
ქართველ ბავშვის
სახე აზიზი.
რა ძვირფასია

ჩუქთვის მისი აღიარება,
მისი ნობათი,

მისი ცქერა ბავშვური, მცდელი,
განსაკუთრებით —

რომ ერთ გზაზე მერგო თანხლება...
აღბათ, ამიტომ
დღეს ასეთი ვარ ბედნიერი.
მაგრამ ლუ-ძოი

მე ამჯერად არ შეთანხმება.

„ბედნიერება აჩნდა
ბავშვთა სახეს უნაზესს —

ფესტივალის დროს, ვარშავაში,
განა არ გახსოვთ?

ერთი გოგონა

აიყვანეთ ზედ ტრიბუნაზე —

მათი სიწრფელე

შეგიძლიათ არ დაათასოთ?“

არა.

ვერასდროს დავივიწყებ

მე იმ ფესტივალს,

ვარშაველ ბავშვებს,

თვალეებით რომ სიცილს ამხელენ...

ხუთი წლის ქალო,
ზღვისპირელო, ახლაც ფიქრში ვარ,
რატომ თვალწინ დგას შენი სახე,
რატომ მალეღვებს?

ყვავილს მიძღვნიდი არა მიტომ,
რომ მე ლექსსა ვწერ.
იქნებ ეს ლექსი
ხალხს ყვავილად სულაც არ უღირს.
შენ ყვავილებით ესაღმები
ჩვენს დიად ოჯახს,
ჩვენს მეგობრობას
და შრომის დუღილს.

მე კვლავ მომესმის
შენი ხმები, ჩემო მანანა.
მორბიხარ, მოგვდევე,
თვალში ვარსკვლავჩასახლებულო.
შენ მისამართი თბილისური
ხომ მოგვიტანე?

ქალო,
სტალინის მშობელ ბაღში დაბადებულო,
მე ჩინეთიდან
გამოვგზავნი ფოტოსურათებს,

წერილსაც მოგწერ —

თვალს აგინთებს ჩემი ქაღალდი.

ხომ მიპასუხებ, მეგობარო!

კი, უსათუოდ.

როგორ მასწავლე?

„მადლობა“

და კიდევ — „ნახვამდის“.

დაისზე მთები

გრილმა ქარმა ნისლში გახვია.

ზღვა ფაფარს იყრის,

ცას საწვიმრად უჩანს ლოყები.

სანატორიუმს დავუბრუნდეთ დროა რახნიდან.

მაგრამ ეს რაა!

შენ, მანანა, ისევ მომყვები?

დედაც აქ არის,

და ძმის სახეც ღუის ვაშლივით...

საჩუქრად ისევ

თაიგული მოგაქვთ სალხინო...

ბედნიერი ხართ,

როგორც ეს ზღვა და ცა გაშლილი.

მშვენიერი ხართ,
ვით ამ მიწის ვარდი და ღვინო.

მახარობელი პეკინიდან —
ლურჯი კონვერტით...
მე აქ კარგად ვარ,
თუმც სამშობლო ჩემი შორს არი.
ჩვენი ხალხების მეგობრობა
მძლავრია მეტად.
ცხოველმყოფელი, როგორც მზეა,
და ღრმა ზღვასავით.

თაიგულიდან ერთი ვარდი
მკერდს მივიბნიე.
მზიან გაგრაში
გავიხსენე ჩემი პეკინი.
ქართველ მანანას
საოცრად გავს ჩემი გოგონა,
ჩინეთში რომ მყავს —
ჩემი გო პინ-ნი.

... ვერ დაგივიწყებ სადაც ვიყო,
ჩემო მანანა,

იბედნიერე, გაიზარდე,
ცოდნით ამაღლდი.
მადლობა დიდი,
გულთბილო და სახემზიანო.
„დიდი მადლობა“, მეგობარო,
მართლა „ნახვამდის“.

ალექსის პარანისი

მწყემსის ხე

ზღაპარი

... და ნაიადამ მწყემსს ასე უთხრა:
„რადგან ბოროტი ბაღე შენ გახსენ,
მიიღე ჯილდო, დაცავ სათუთად,
ასეთს ვერ ნახავ მთელ ქვეყანაზე“.

და მას გადასცა სურა წყლით სავსე:
„სურაში წყალი გექნება ვიდრე,
სულ ახალგაზრდა იქნები ასე,
სიკვდილზე წუთსაც კი ნუ იფიქრებ“.

გულში ჩაიკრა მწყემსმა ის განძი,
მის აღტაცებას ვერც იტყვის ენა —
არ მოხუცდები არასდროს კაცი,
სიკვდილ-სიცოცხლე გმორჩილებს შენა!..

ჰოდა, ცხოვრობდა, არ თვლიდა წლებსაც,
ასე ცხოვრობდა უღარდო მწყემსი,

ასე ცხოვრობდა, დაიღო წესად
და წყალს ღოცავდა თიხის ჭურჭელში.

არასდროს ერთი წვეთიც არ უსვამს,
სურას უვლიდა იმ სანეტაროს;
წყურვილს იკლავდა წყაროსთან, რუსთან,
განა ცოტაა ღელე და წყარო!

დიდხანს ცხოვრობს და
წლებს არ თვლის ისევ,
რად უნდა თვალს, თუ არ ბერდება?
მდინარე ტალღებს აქროლებს ზღვისკენ
და გაზაფხულზე კი არ თხელდება.

მაგრამ სასტიკი გვალვა ჩამოდგა...
მზემ ცეცხლი მოსდო ხეებს და ველებს,
წყალი შესრუტა ყველა წყაროდან,
დააშრო ყველა მდინარე, ღელე.

მიწა მწყურვალე მიძიმედ სუნთქავდა,
მწვანე საფარი სხივებმა შეხსნეს,
გვალვა ბალახსაც სიკვდილს უქადდა
და ხე სიღრმეში გზავნიდა ფესვებს.

სიცხით გაუშრა ხეებს ტუჩები,
დაზრნენ ფოთლები და ჩამოცვივდნენ,
ირგვლივ წუხილი იყო უჩვევი,
ხეებიც უხმოდ, მწუხარედ იდგნენ.

ხედავდა მწყემსი უბედურებას,
ხედავდა, ხალხი ნატრობდა ხევში,
რომ შესძლებოდა წყლის შესხურება,
მომაკვდავ ხეთა მოერწყო ფესვი.

წუხილი იყო ყოველ ნაბიჯზე,
და მწყემსმა უთხრა მშობლიურ მიწას:
„შენ მე გამზარდე და მომანიჭე,
რაც სიკვდილისგან სიცოცხლეს იცავს.

არ დაგიკლია პური და წყალი,
ზამთარში სითბო, ზაფხულში — ჩერო,
მე შენი მმართვეს ზრუნვა და ვალი,
სხვა რით აგიზლო, სამშობლოვ ჩემო?“

მერე აიღო ძვირფასი სურა, —
ხალხს გასაჭირში ხომ ვერ დატოვებს, —
და უკვდავების წყალი ასხურა
სიცხით ნაწამებ ფესვებს და რტოებს.

სურა დასცალა, დაეცა თვითონ...
ხე გამოცოცხლდა შენაშფოთები
და, გაზაფხული დაუდგა თითქოს,
შეაშრილა მწვანე ფოთლები.

ირგვლივ კი მიწა აღიდებს, მღერის,
აქებს გმირობას უბრალო მწყემსის:
„მე შემომწირა მან ყველაფერი,
არ მიმატოვა უბედო ბედში.“

სიცოცხლე დათმო... დაე, მარადის,
ხალხთა ხსოვნაში ცოცხალი იყოს,
კიდით-კიდემდე, მთიდან ბარამდი
შთამომავლობამ არ დაივიწყოს!“

მიწის ხმას ხალხი პატივით ისმენს...
და მწყემსის ხსოვნა რომ შეინახოს,
გადაწყდა ძეგლი აუგონ გმირ მწყემსს
იმავე ადგილზე, იმავე ხის ახლოს.

მოქანდაკემ თქვა: „ხალხო, მე მზად ვარ
ძეგლი ავაგო დანიშნულ დრომდეც, .
შაგრამ მითხარით, რა ზომის დავდგა,
იმ ძეგლს როგორი სიმაღლე ჰქონდეს?“

ვერსი ამბობენ: „გმირის სიმაღლე“.
სხვები დავობენ, არ თანხმდებიან:
„არა, აქ არ ჩანს აზრის სიახლე,
მის სიდიადეს ვერ მიხვდებიან.

და რომ არა თქვან, მდარე არისო,
რადაც უბრალო და უხარისხო,
იყოს იმ ზომის, ისე მაღალი.
როგორც ის ხეა ტანანაყარი“.

ჯერ მოქანდაკემ გაზომა ის ხე,
ზუსტი სიმაღლე უნდოდა რადგან,
თან მარმარილოს განი და სისქე,
მერე — მასალა თალა და რანდა.

დასრულდა. დაღლას რომ არ ამხელდა,
სურს შეასვენოს მარჯვენა ახლა.
ხისკენ მიბრუნდა, მაგრამ რას ხედავს?
ხე ძეგლზე უფრო მაღალი დახვდა!

კვლავ მოქანდაკემ გაზომა ის ხე,
ზუსტი სიმაღლე უნდოდა რადგან,
თან მარმარილოს განი და სისქე,
კვლავაც მასალა თალა და რანდა.

შრომობს ოსტატი ღამით და ღღისით,
საქები დადგა ძეგლი ახალი.
და როცა იმ ხეს ადარებს ისევ,
ხე იყო ძეგლზე დიდად მაღალი.

და ხალხს ოსტატმა ეს უთხრა მაშინ:
„კეთილი საქმე მუდამ იზრდება,
და ვინც ხალხს შველის გაჭირვებაში,
თვით საქმე ჰყოფნის ძეგლად, დიდებად!“

ხალხი მიენდო ამ აზრს უცოდველს,
ამიერიდან შეთანხმდა ყველა
და გმირი მწყემსის ძეგლი უწოდეს
მაღალ ხეს, ცამდე ამართულს ველად.

ეპიგონი ბანდუჩენკო

* * *

ქათქათებდა ღამე როგორ!
თეთრად ჰყვოდან ვაშლი,
ჩამეხვია თეთრი გოგო
თეთრი ხელების გაშლით.

უკვე ქარი დაქრის ბაღში
ოქროს ფოთლების ხვავით,
შაგრამ გულში, როგორც მაშინ,
ვაშლი კვლავ თეთრად ჰყვავის.

* * *

რას მემდურო, ბრაზობდა ქალი,
ვაჟის დუმლით გულდაისრული,
უსიტყვო ხვევნაც არისო მკრთალი
და არც ალერსი არისო სრული.

ვაჟმა მიუგო:

— ჩემო პატარავ,

საცა გრძნობაა, რა სიტყვა უნდა!
სჯობს სიყვარული გულით ატარო,
ვადრე ენაზე გეკეროს მუღამ.

* * *

უკვე შეწყვიტეს ხმაური ზღვაზე,
ბინდმა მოიცვა პალმის რტოები,
შენ კი არ ჩანხარ.

მეც ეჭვით სავსე
ვღგავარ ნაპირზე განმარტოებით.
ვღგავარ ნაპირზე დარდის თანხლებით
და ნელ,

ნაღვლიან სიმღერას ვმღერი:

როგორ დადიან ზღვაზე ტალღები,
როგორ აწყდება სალ კლდეებს ჩქერი;
როგორ უმღერის ბუღბული სატრფოს,
უხმობს ბუდესთან ეშხით დამწვარი.
მთვარე მიდამოს რარიგად ათოვს
და შუქზე როგორ კრიალებს წყალი;
როგორ თანდათან ღრუბლის ბულული
ცაზე იშლება ვერცხლის ზოდებად,
როგორ არ ცხრება ბალში ბუღბული
და როგორ გული შენ გელოდება...

3. ანტონოვი

შ ვ ი ლ ი

შვილის წერილი მომცა მოხუცმა,
მომასმინეო — წაკითხვა მთხოვა.
ვუკითხავ.

შუბლი ფიქრმა მოუცვა,
დამკვნარი სახე — ღიმილის თოვამ.

შვილი კი სწერდა:

„მომცეს დიპლომი.

წელს საზაფხულოდ ვერ მოვალ შენთან.
კარგად ვარ.

ახლა რასაც ვნატრობდი,

და სამსახურიც მოსკოვში შემხვდა“.

— ეს რაა, დედი, ხომ არ შეგშლია,

ოთხი წლის ბარათს მაკითხებ ახლა?

დედის დაბინდულ კროლა თვალშიაც

გამოუთქმელი ტკივილი გალბვა:

— დიდი ხანია რაც ეს მომწერა.
ვაკითხებ, როცა მომენატრება...

— მოკვდა?

— ქალაქში არის ამჯერად,
მაგრამ, როგორც ჩანს, არ ახსოვს ღელა.

— მარტოს მოგწყინდა?

— ფიქრი მესევა...

— ისე როგორ ხარ?

— რა მიშავს, ვცოცხლობ.

უფროსის გამო ფული მეძლევა...

ფრონტზე მომიკლეს, იცავდა მოსკოვს.

მერე ბარათი კეცა სათუთად,

შემოახვია ნაჭერი სუფთა.

წავიდა, მეტი სიტყვაც არ უთქვამს.

მე სიბრაღულმა შემიკრა სუნთქვა.

თვალწინ დამიდგა მისი ცხოვრება,

რაც ნაღველი და აღმური წვავდა,

როგორ გაცუდდა შრომა, ოცნება, —

არ დატოვებდნენ შვილები, სწამდა.

ახლა ვისიღა იმედით დარჩეს?
ვინღა ჩაუქროს სიბერის სევდა.
ერთი მოუკლეს (და მაინც არჩენს),
მეორე — თითქოს არც ჰყავდეს დედა.

დე მის შესახებ ცოტა ვიცოდე,
გულს მაინც რისხვა მიშფოთებს ცხარე.
როცა ის ვაჟი დედას გიწოდებს,
არ დაუჯერო, მშობელო მხარევ!

იან კროსი

* * *

თუ უბრალო საღებავში
გულის სისხლს არ შეურევ,
თვალის ცრემლს არ შეურევ,
მიწის პეშვს არ შეურევ —
ვერ შეძლებ და ვერ დახატავ
სისხლს, —
ისე წითელს, როგორც სისხლია,
ზღვას, —
ისე ზღვისფერს, როგორაც ზღვაა,
მიწას, —
მიწიერს, როგორც მიწაა.

იზრათ კავშირს

* * *

მე ჩავიარე მექოთნის ახლოს,
იგი ღმერთს თხოვდა —
მხურვალე მზეო.
მიველ მეურნის ღარიბულ ქოხთან —
უფალო, წვიმა მითავაზეო.
ქარს მოითხოვდა ხმა მეთევზეთა,
უქარო ამინდს — წიალა, მწერი.
ხველა ლოცულობს გამიმარჯვეო —
მოკეთეა თუ მოსისხლე შტერი,
ვისილა ლოცვა ისმინოს ღმერთმა?


ს ა რ ჩ ე ვ ი

მადლობა	3
პოეზიის დღე	5
ო, ნეტავ ლექსიც...	7
ჩონგური	9
ჩემი საფიცარი	11
მიწის სურნელი	13
ამხანაგი და მეგობარი მყავს	15
მდინარესთან	17
კომკავშირი	18
ბათუმიდან თბილისამდე	20
მერცხლების გადაფრენა	23
მესაზღვრის სიტყვა	24
ჩვენი არტილერია	26
ჩემ სოფელში	28
ჩემი ბათუმი	29
* * *	30
ხიხაძირი	31
სათევზიაში	33
ბარათაული	34
შუახვევლი გოგონა	35
სადამო აჭყვაში	37
ცისკარი ცისკარზე	39
აკაკის ძეგლი ქობულეთში	41
თბილისის დილა	43
მთაწმინდაზე	45
ჩემი სოფელი მამათი	47
ძიმითის ხიდი	53
რა ლექსებში დავატიოთ	54
გალაქტიონის გარდაცვალებაზე	56
გიორგი ლეონიძეს	58

„მზეს არ ახსოვს...“	62
თამარ აბაყელის პორტრეტზე	64
გამხელოლი ფიქრები	65
ავტობუსში	73
შვილიშვილის აკვანთან	76
მთები	78
გზები	79
ბავშვი და ლექსი	81
ნიწა და მარსი	82
პაუშანი	83
შენი ბაღია	85
შეხვედრები	87
მხოლოდ შენი სიახლოვე	89
ბარემ თქვი...	91
არ არის გვიან	92
ორი ასაკი	94
მოდე, რას უცდი...	95
კმარა!	96
ნამა-შვილი	109

თარგმნილი

გო მო-ყო — მანანა	141
ალექსის პარნიისი — მწყემსის ხე	152
ევგენი ბანდურენკო — * * *	158
ევგენი ბანდურენკო — * * *	159
ევგენი ბანდურენკო — * * *	160
ე. ანტონოვი — შვილი	161
იან კროსი — * * *	164
იზრაელ კაფუ ხო — * * *	165



Нестор Глахунович Малазония

М О Я Р О Д И Н А

С т и х и

(на грузинском языке)



Государственное издательство
Батуми—1961

რედაქტორი გ. სალუქვაძე

მხატვარი ვ. კვერნაძე

ტექნოლოგი გ. კუნჭულია

კორექტორი შ. დარჩია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1961 წლის 14 იანვარს.
ქალაქის ზომა 60X84¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 10,5, სა-
ალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6. დაკვ. № 45.
ემ 00608. ტირ. 2.000.

ფასი 85 კპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული
მრეწველობის და გამომცემლობათა მთავარი
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია.
(ლუქსემბურგის ქ. № 22).

